მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N28 (9244) | 10 ოქტომბერი. 2017 წელი | ფასი 50 თეთრი

ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ

2

ქართველი ეროვნული
ზვიად გამსახურდიასთან
შესმული საღვთაებრივ

8

9 თვის ბიუჯეტი შესრულდა

3

"სახლი თანდგომას" სოციალური ოთხ ასწლოვან ქალბატონს

5

გულის ანალვაზრდობით ღაძღეული წლების ხანდაზმულობა

მხატვრის ღიმილი გასული საუკუნიდან

3

მეჯობის კანდიდატები საოლქო საარჩევნო კომისიაში

ნინო ნანიტაშვილი

54-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სამტრედიის თემის მერობის ყველა კანდიდატს შეხვდა. 30 სექტემბერი საარჩევნო კანონმდებლობით ბოლო დღე იყო, ნანა იმნაძეს მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატებისთვის მოწმობებისა და რეგისტრაციის გავლის სამართლებრივი აქტის ასლები გადაეცა. პროცედურის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარემ მერობის კანდიდატებთან მოკლე აუდიენცია გამართა და თითოეულ მათგანს კონსტრუქციულ რეჟიმში არჩევნების ჩატარებისაკენ მოუწოდა.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში სამტრედიის მუნიციპალიტეტში მერობისთვის იბრძოლებენ ''ბაქრაძე-უგულავა _ ევროპული საქართველო'' _ ავთანდილ სტურუა, ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' _ მამუკა ბიბილეიშვილი, ''პატრიოტთა ალიანსი'' _ კამო კანდელაკი, ''ლეიბორისტული შრომის პარტია'' _ გიორგი ჯიმშელეიშვილი, ''შენების მოძრაობა'' _ იმედა გოგავა, ''ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო'' _ ვალერიანე ფოცხვერია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატებმა მადლობა გადაუხადეს 54-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ერთმანეთს სამართლიანი არჩევნები უსურვეს, იმედი გამოთქვეს, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები სამტრედიაში ღირსეულად ჩატარდება და ამომრჩეველი ღირსეულ კანდიდატზე შეაჩერებს საკუთარ არჩევანს.

საარჩევნოდ...

ლევან გაბეჩავა

ყოველი დღე გვაახლოებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან, რომელიც თავისთავად უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა ქვეყნისათვის.

მედია, წინასაარჩევნო შეხვედრები უხვადაა გაჯერებული ოპონენტთა მისამართით გამოთქმული ბილწსიტყვაობით, რიგ შემთხვევებში ფიზიკური დაპირისპირებებით თუ არა, მცდელობით მაინც. ყოველივე კი არც ერთი მხარისათვის არ იძლევა დადებით, სასურველ შედეგს.

როგორც რიგითი ამომრჩეველი და ასევე რიგითი მოქალაქე, რაგინდ სიმპათიით ვიყო განწყობილი კონკრეტულად რომელიმე პარტიის ან კანდიდატისადმი, თუ აღმოჩნდება, რომ მას მშვიდად, არგუმენტირებულად არ ძალუძს მოწინააღმდეგესთან მიმართებაში საკუთარი უპირატესობა დაამტკიცოს, არ ღირს მასზე აქცენტის გაკეთება, ანუ შემეცვლება შეხედულება მის მიმართ. მავანნი უთუოდ იტყვიან, იფიქრებენ მაინც, შენი აზრი ბევრს არაფერს ნიშნავსო, მაგრამ სწორედ ჩემნაირებისაგან, თქვენნაირებისაგან, რიგითი ამომრჩევლისაგან იქმნება მასა, ელექტორატი, რომელებმაც საბოლოოდ არჩევნების ბედი უნდა გადაწყვიტოს.

ადგილობრივი, საპარლამენტო, საპრეზიდენტო... არჩევნებისას დაპირისპირება, შეხლა-შემოხლა არახალია, როგორც ქართული, ისე მსოფლიო პოლიტიკური სპექტრისათვის, ამდენად, არჩევნების ისტორიისთვისაც.

შორს რომ არ წავიდეთ, ნათქვამის სიცხადისათვის 1918-1921 წლების დემოკრატიული საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, სასიქადულო მეცნიერს შალვა ნუცუბიძესა და ბენია ჩხეკვიაშვილს შორის ატეხილი სკანდალიც კმარა, მუშტიკრივში ლამის რომ გადაიზარდა, დიდხანს რომ იყო მაშინდელი საზოგადოების განსჯის საგანი და რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ რომ მიავიწყა ხალხს ყოველივე.

მეტს აღარ გავაგრძელებთ.

თუკი პოლიტიკურ ძალას, პარტიას, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მოძრაობას, ცალკეულ კანდიდატებს ამომრჩევლებისადმი აქვთ სათქმელი, მშვიდად, წყნარად, ბოღმისა და ღვარძლის ნთხევის, აყალ-მაყალის გარეშე შეიძლება მოხდეს ყოველივე, ეს უფრო მომგებიანი, ცივილური იქნება, დაიღალა ხალხი ამდენ მტყუან-მართლის ძიებაში, მაშინ, როცა ხალხმა ბევრ გამოცდილ პოლიტიკოსზე უკეთ იცის რა უჭირს, რა ულხინს მას, ქვეყანას, ერს.

ბოლოს და ბოლოს, წამების, წუთების, საათების, დღეების, თვეებისა და წლების სრბოლამ, ასაკთან ერთად, პოლიტიკური წინდახედულება, პოლიტიკური სიბრძნეც უნდა მოგვმატოს.

ერთი სიტყვით, პოლიტიკურად უნდა გავიზარდოთ.

მშვიდი წინასაარჩევნო გარემო ქვეყანაში, მშვიდი საარჩევნო პროცესისა და ობიექტური შედეგების წინაპირობა უნდა იყოს.

"მეტი ქალის ხმა თვითმმართველობაში"

ნინო ნანიტაშვილი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ''საქართველომ'' 3 ოქტომბერს პოლიტიკურ პარტიებთან და ოფიციალურად დარეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებთან შეხვედრა დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზში გამართა.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის ''მეტი ქალის ხმა თვითმმართველობაში'' პროექტის ფარგლებში 2017 წლის 4 სექტემბერს ქალთა საჭიროებების კვლევა ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. კვლევა ფოკუს-ჯგუფის ფორმატით განხორციელდა, რომლის ანგარიში ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ''საქართველომ'' 3 ოქტომბერს საარჩევნო სუბიექტებს, სამტრედიის მერობისა და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს გააცნო და არჩევის შემთხვევაში მათი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალთა როლის გაძლიერებისკენ მოუწოდა.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ''საქართველომ'' შეხვედრები იმერეთის რეგიონში სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან დაიწყო. შეხვედრაზე ითქვა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში ქალთა ჰომოგენურ ჯგუფთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის შედეგად გამოვლინდა ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებები ქალთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მათი ცხოვრების ხარისხზე და საჭიროებს მიზანმიმართულ ინტერვენციას, ასევე, ადგილობრივი პოლიტიკის დღის წესრიგში ამ საჭიროების ინტეგრირებას ადგილობრივი ხელისუფლების, ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან.

ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ

ნინო ნანიტაშვილი

ჯერ კიდევ მიმდინარეობს სამუშაოები რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიან კორპუსზე. ძირითადად ხდება ჩამომყვანი მილების შეცვლა და მოაჯირებზე თუნუქის გაკვრა. ქალაქის ტერიტორიაზე, რესპუბლიკის, ნინოშვილის, თამარ მეფისა და წერეთლის ქუჩებზე, პარალელურად მიმდინარეობს სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, ადმინისტრაციული შენობის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს. შარტავას ქუჩაზე უკვე დასრულებულია ზემოაღნიშნული სამუშაოები.

მიმდინარეობს აგრეთვე, სოხუმის ქუჩაზე დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის აღდგენა. უახლოეს პერიოდში დაიწყება ანდრო თევზაძის, წინსვლის, ახალგაზრდობის და ადმინისტრაციული შენობის სამხრეთით განთავსებული ქუჩებზე ასფალტბეტონის საფარის დაგება. დაიწყება სპორტული ხელოვნურსაფარიანი მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები 9 აპრილის, თამარ მეფის (9 სართულიანი კორპუსის წინ) ქუჩებზე, რუსთაველის ქუჩის დასაწყისში, რკინიგზაზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მიმდებარედ. სპორტული მოედნის აღდგენითი სამუშაოები ჩატარდება ასევე სოფელ ეწერში. უახლოეს დღეებში დაიწყება კოსტავას ქუჩაზე, ყოფილი ხდკ-ის წინმდებარე ტერიტორიაზე და სოფელ დიდ ჯიხაიშში სკვერების რეაბილიტაცია.

ზურაბ გოგია, მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი: ''ზემოაღნიშნული სამუშაოების შესრულება ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიმდინარეობს, იგი მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს''.

აირჩიეს თავმჯდომარე

27 სექტემბერს გაიმართა საზოგადოება ''სამტრედიელის'' გამგეობის გაფართოებული სხდომა.

გამგეობის 11 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 9 წევრი და 10 აქტივისტი. დღის წესრიგში იყო საზოგადოება ''სამტრედიელის'' თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევის საკითხი (მომხსენებელი თეიმურაზ ტორონჯაძე).

საზოგადოება ''სამტრედიელის'' თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევნებს წინ უძღოდა სამთვიანი კონსულტაციები გამგეობის წევრებსა და საზოგადოების აქტივს შორის, რომელთა შედეგადაც გამგეობის თავმჯდომარის პოზიციის დასაკავებლად მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ტატა გოგუაძის, ხოლო მოადგილის პოზიციაზე მოგელი კუპრეიშვილის კანდიდატურებმა მოიპოვეს. ზემოთ აღნიშნულ პირებს თვითაცილება არ გამოუხატავთ.

სხვა კანდიდატები არ დასახელებულა.

საზოგადოება ''სამტრედიელის'' თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ტატა გოგუაძე, მოადგილედ მოგელი კუპრეიშვილი.

საზოგადოება "სამტრედიელის" გამგეობა

მხატვრის ღიმილი გასული საუკუნიდან

თეა ბაბუნაშვილი

“იმიტომაც, რომ აქაურობასთან შეხება არ მაქვს” _ ეს სიტყვები და მთელი გამოფენა იური კანდელაკის პასუხია კითხვაზე, რატომ გადაწყვიტა მამამისის, ანდრო კანდელაკის ნამუშევრების სამტრედიის სამხატვრო სკოლის დარბაზში გამოეფენა. გამოფენა ღირსშესანიშნავ თარიღს, ავტორის საუკუნოვან იუბილეს დაამთხვია.

ფესვები სამტრედიელი ჰქონდა კარიკატურისტ ანდრო კანდელაკს, საკუთარი შემოქმედებით საქართველოში ცნობილის ტიტული რომ მოიპოვა. საბჭოთა ეპოქას შესწრებულებს სატირულ-იუმორისტული ჟურნალი “ნიანგი” სწორედ მისი კარიკატურებით ახსოვთ იქნებ.

სამხატვრო სკოლა-გალერეის ფოიეში გამოფენილი დიდი კარიკატურისტის ნამუშევრებით საბჭოთა ეპოქის დროინდელი “ნიანგი” და თემატიკა, დღევანდელობასაც მოსწრებული ღიმილით რომ ერგება, დამთვალიერებელმა ოქტომბრის პირველივე დღეებში ნახა. ვაჟიშვილთან და რძალთან ერთად სამტრედიაში სტუმრად მყოფი აკადემიკოსი იური კანდელაკი იმაზე საუბრობდა, რომ “მართალია, აქ არ დავბადებულვარ და გავზრდილვარ, მაგრამ რაღაც ძალა მეხიდება იმ მიწა-წყლისკენ, სადაც ჩემი დიდი ბაბუა ცხოვრობდა. თურმე სატელეფონო კვანძს ხელმძღვანელობდა სამტრედიაში. ბაბუაჩემი ქუთაისის №1 სკოლა-გიმნაზიის დირექტორი ყოფილა. მამა სამტრედიაში არ დაბადებულა, მაგრამ აქ გაიზარდა, პირველადი განათლებაც აქ მიიღო.” იური კანდელაკს შეხება არ აქვს მხატვრობასთან, მამის კვალს მისი ძმა, ვლადიმერ კანდელაკი გაჰყვა, რომელიც 20 წელზე მეტია, ამერიკაში ცხოვრობს, მოღვაწეობს და არაერთი ქვეყნის არაერთ ცნობილ გალერეაში იფინება მისი ტილოები. “ჩემს ირგვლივ ყველა მხატვარია, მეზობლები, მეგობრები... თავად რუკების შედგენაში მიმიძღვის გარკვეული წვლილი. “ღვინის რუკა” სულ ახლახან შევადგინე.”

გალერისტი ია ბოკუჩავა, “IArt Gallery”-ში ცოტა ხნის წინ გამართულ გამოფენასა და გასული საუკუნის მხატვარ-კარიკატურისტის შემოქმედებაზე პროფესიულ ჭრილში საუბრობდა: “ანდრო კაკაბაძე გახლდათ პიროვნება, რომელმაც, ფაქტობრივად, საფუძველი დაუდო კარიკატურის ჟანრის არათუ განვითარებას, არამედ ჩამოყალიბებას საქართველოში. დიდი ხანი არ არის, რაც “იარტ გალერეამ” მის ვრცელ გამოფენას უმასპინძლა. შეუძლებელია ანდრო კანდელაკის ნამუშევრები ჟურნალ “ნიანგის” ფურცლებიდან არ გვახსოვდეს. თავის დროზე იქნებ ბავშვურად მოგვწონდა, მაგრამ პროფესიული თვალსაზრისით, ეს არის უნიკალური ნამუშევრები, მაღალპროფესიონალურად შესრულებული. ყველა ეტაპზე, როცა პოლიტიკა იცვლებოდა, ეს იყო მეორე მსოფლიო, თუ ცივი ომი, მისი შემოქმედება მაღალპროფესიულად ასახავდა სინამდვილეს.”

ანდრო კანდელაკი 50 წელზე მეტი დროის მანძილზე გახლდათ “ნიანგის” მხატვარი. აფორმებდა საბავშვო წიგნებს, იყო საბავშვო კარიკატურის ოსტატი, შექმნილი აქვს არაერთი მულტფილმი. მისი პირველი გამოფენა მოსკოვში, ჟურნალისტთა კავშირში გასული საუკუნის 70-იან წლებში მოეწყო. შემდგომ კი მას მხატვართა სახლმა უმასპინძლა. ანდრო კანდელაკის პირველი კარიკატურა 1936 წელს გამოქვეყნდა, მაშინ იგი 19 წლისა გახლდათ.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ანდრო კანდელაკი ფრონტის ხაზზე ქმნიდა ნამუშევრებს. სწორედ ფრონტულ ნამუშევართაგან ერთ-ერთი გახლდათ ის, იური კანდელაკმა ყურადღება რომ გაამახვილა რადგან “კაშა პშენიჩნაიას” შეფუთვაზე დახატული აღმოჩნდა.

გამოფენილ ნამუშევართაგან განსაკუთრებით საყურადღებო კარიკატურისტის მიერ შედგენილი რუკები გახლდათ. “უნიკალურია ანდრო კანდელაკის რუკები. აქ წარმოდგენილი ნიმუშების ასლები ბავშვობაში ყველა ჩვენგანის ოჯახში შეიძლებოდა ყოფილიყო. ისინი ძალიან სახალისოა, უფრო სწორად, სახალისო სცენებით გადმოგვცემენ საჭირო, შემეცნებით და ტევად ინფორმაციას. შემდგომ მისმა შვილმა, ბატონმა იურიმ შეუწყო ხელი ამგვარი რუკების შექმნას. იგი თავადაც ქმნის მას და სხვა მხატვრების დახმარებითაც.” _ იკა ბოკუჩავა ანდრო კანდელაკის მიერ შედგენილ რუკებზე საუბრობდა. მან აქცენტი იური კანდელაკის მიერ შექმნილ ღვინის რუკაზე გაკეთა, რომელიც ისტორიულ ცნობებზე დაყრდნობით ცხადყოფს, რომ საქართველო უძველესი ღვინის ქვეყანაა. ამ რუკაზე სწორედ ძალიან ძველი, ისტორიული მნიშვნელობის მარნებია დატანილი.

საუბარი თანამედროვე კარიკატურის განვითარებასაც შეეხო. “დღეს დაკვეთაც ნაკლებადაა ამ კუთხით. ადრე უფრო აქტუალური იმიტომ იყო ეს ჟანრი, რომ წიგნით, ჟურნალ-გაზეთებით დაინტერესება გაცილებით მეტი გახლდათ, უფრო წიგნიერი იყო საზოგადოება. დღეს, ტელევიზიისა და ინტერნეტის ეპოქაში, ინტერესმა მოიკლო ამ ჟანრის მიმართ.” _ აღნიშნა იკა ბოკუჩავამ.

გამოფენა, რომელიც გამგეობის კულტურის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო, სამხატვრო სკოლა-გალერეის დირექტორმა ნინო ნინუამ სიტყვებით: “ეს გამოფენა კიდევ ერთი ლამაზი ფურცელია სამტრედიის ისტორიაში”, გახსნა. კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ აღნიშნა, რომ იგი გუბერნიის და უშუალოდ იმერეთის გუბერნატორის დაინტერესებით მოეწყო.

საკუთარ მასწავლებლად მოიხსენია ცნობილი კარიკატურისტი შპს “სამტრედიის მაცნეს” დირექტორმა ბეჟან გოგიამ. აღნიშნა, რომ იგი კარიკატურისტად მის შემოქმედებაზე ჩამოყალიბდა.

გამოფენას სამხატვრო სკოლა-გალერეის მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და დაინტერესებულ საზოგადოებასთან ერთად გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით ბახტაძე და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. იური კანდელაკმა საბავშვო კონკურსის, სახელწოდებით “ჩემი იმერეთი” დაფუძნების სურვილი გამოთქვა რომლის გამარჯვებულთათვის საჩუქრებს თავად დააწესებს და რომლისთვისაც ნამუშევრების შექმნა სამხატვრო სკოლის პატარა აღსაზრდელებმა უკვე დაიწყეს.

9 თვის ბიუჯეტი შესრულდა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის აგვისტოს ბიუჯეტის შემოსავლების 9 თვის გეგმა გადაჭარბებით _ 103,7 პროცენტით შესრულდა. მათ შორის საგადასახადო შემოსავლების გეგმა _ 102,1 პროცენტით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები _ 100 პროცენტით, სხვა შემოსავლები _ 117 პროცენტით. შემოსავლები არაფინანსური აქტივების კლებიდან _ 102,9 პროცენტით.

2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში ბიუჯეტის მატებამ 106,8 პროცენტი შეადგინა.

როგორც მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო განყოფილების უფროსმა, მარინე ანდღულაძემ გვითხრა, აგვისტოს ბიუჯეტში შემოსავლების ზრდა განპირობებულია ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლებით და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლებიდან, ასევე, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლებიდან მიღებული შემოსავლების ზრდით.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის 9 თვის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 16 102 900 ლარით. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა 7 906 600-ს შეადგენს, ადგილობრივი შემოსავლები _ 6 669 300, ხოლო 1 527 000 ლარი 2017 წლის პირველი იანვრისთვის დარჩენილი ნაშთიდან განაწილებული თანხებია.

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, თანხების განკარგვა ხდება შემოსავლების პროპორციულად, ანუ ხარჯვის ძირითადი ნაწილი მიმართულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, ასევე, სოციალური პროგრამების განსახორციელებლად.

ნინო ნანიტაშვილი

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ორგანოს _ საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის/მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში გაზეთი “სამტრედიის მაცნე” იხელმძღვანელებს საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და “საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, საარჩევნო სუბიექტები გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 4 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი, რომლის ღირებულება 200 ლარს შეადგენს.

გვიყვარხართ, გვახსოვხართ!

ლევან გაბეჩავა

1-ელ ოქტომბერს მოხუცთა საერთაშორისო დღე აღინიშნა. თუმცა, არაა სავალდებულო, საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეგვახსენონ, რომ მოხუცებს თანადგომა, სითბო და სიყვარული სჭირდებათ.

დიდი ხანია, ტრადიციად იქცა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის (დირექტორი ლამარა დუნდუა) თანამშრომელთა და "სათნოების სახლის" ბინადართა მეგობრობა.

3 ოქტომბერს ბიბლიოთეკის თანამშრომლები ხელდამშვენებულები ეწვივნენ სახლის ბინადართ, მოხუცთა საერთაშორისო დღე მიულოცეს და ხანგრძლივი სიცოცხლე, მშვიდი ხანდაზმულობის წლები უსურვეს მათ.

ქალთა ანსამბლმა "ათინათი" ჩვეული შემართებით შეასრულა ქართული სიმღერები, საცეკვაო მელოდიებზე სტუმარ-მასპინძლებმა ხელიც გაშალეს. მათ კი, ვინც სიბერემ საწოლს მიაჯაჭვა, ოთახებში უმღერეს სასურველი სიმღერები.

ყოველნაირად ვცდილობთ, მუდმივი ყურაღების ცენტრში გვყავდნენ ბენეფიციარები, ამჟამად ერთი ბინადარი სტაციონარში გვყავს, ჩვენი თანამშრომლები ყოველდღიურად აკითხავენ მათ, _ გვითხრა "სათნოების სახლის" ექიმმა, ეკა ჭკადუამ და მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისათვის.

შეკრებილთა მოწონება დაიმსახურეს ლექსებმა, რომელიც მსახიობმა მზია ჩიხლაძემ წაიკითხა.

ქალბატონი ლამარა თუთბერიძე ჩხენიშიდანაა, მეუღლისა და შვილების გარდაცვალების შემდეგ მოხვდა აქ.

ჩვენი გაზეთი ხშირად წერდა სამტრედიელ დღეგრძელ პანტელეიმონ ზაქრაძის შესახებ, რომელიც 105 წლისა გარდაიცვალა.

ბატონი პანტელეიმონის და გალინა ზაქრაძე გავიცანით აქ. იგი 99 წლისაა, თუმცა, ასაკთან შედარებით მხნედ გამოიყურება. ყოველ დილით ვვარჯიშობ, უამრავი ლექსი ვიცი, აქაურების ყურადღებით ერთობ კმაყოფილნი ვართო. _ გვითხრეს ლამარა თუთბერიძემ და გალინა ზაქრაძემ.

"სითაც პირი ქნათ, წაღმა გეროთ" დაგვემშვიდობნენ "სათნოების სახლის" სათნო ბინადრები, რომელთაც ერთი ჩვეულებრივი დღე არაჩვეულებრივად უქციეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა. ყოჩაღ მათ.

"სახლი თანადგომას" სჩუქჯრი ოჩ ასწლოვან ქალბატონს

ნინო ნანიტაშვილი

პირველ ოქტომბერს ხანდაზმულთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის "სახლი თანადგომა" თადარიგს ადრიანად შეუდგა. ასწლიანების პროგრამა სამტრედიის მუნიციპალიტეტში ორ დღეგრძელ ქალბატონზე გაიწერა: ერთი ქალაქში და ერთიც სოფელში.

გორმაღლელ ქეთო ბუბუტეიშვილს 100 წელი 2017 წლის 17 მარტს შეუსრულდა. ოლია ბოლქვაძე-ბურკაძემ ერთი საუკუნე 2017 წლის 21 აპრილს შემოხაზა. თავისუფლების 6 ნომერში ბურკაძეების ოჯახი არცთუ ისე დიდი ხნის წინ დასახლდა. თუმცა მეზობლების სიყვარული და პატივისცემა უკვე მოპოვებული აქვთ.

მთელმა ქუჩამ იცის, რომ ბურკაძეების ოჯახში ერთი განსაკუთრებულად საპატივცემულო ქალბატონი ცხოვრობს. 100 წლის ოლღა ბებოს გამო მათი სახლის კარი მუდამ ღიაა.

მართალია, ერთ თვალში თვალის ჩინი წართმეული აქვს, სხვას, ჯანმრთელობის კუთხით, არაფერს უჩივის. საღი მეხსიერება აქვს, მოძრაობა შეუძლია, თავის თავსაც უვლის, თუმცა ერთი დიდი ტკივილი მოურჩენელია: 4 შვილის დედას ცოცხალი დღეს მხოლოდ ორი ქალიშვილი შემორჩა. ვაჟები ამქვეყნიდან ნაადრევად წავიდნენ.

100 ლარის ღირებულების თითქმის ყველა სახეობის პროდუქტი და ხანდაზმულთათვის საყვარელი ტკბილეული _ "სახლი თანადგომას" დირექტორმა ოლღა ბებოს 6 ოქტომბერს მიართვა. შვილიშვილის მიხეილ ბურკაძის ოჯახში ყველა პირობაა შექმნილი, დღეგრძელმა ქალბატონმა თავი ღირსეულად იგრძნოს. გამორჩეულ კომფორტს უმცროს შვილიშვილ, მათესთან ურთიერთობისას გრძნობს.

გორმაღალში კარმიდამოს ვერ ნახავთ, სადაც ქეთო ბუბუტეიშვილის მარჯვენით დამყნილი ხეხილი არ ხარობდეს. მისთვის საყვარელ საქმეს ქეთო ბებო შარშანდლამდე სიხარულით აკეთებდა. მეორე წელია, მოტეხილი ფეხის გამო, ლოგინიდან ვეღარ დგება. საღი აზროვნებითა და კეთილი საუბრით სტუმრებთან და მეზობლებთან ძველებურად ენაწყლიანობს.

6 შვილი, 12 შვილიშვილი და 18 შვილთაშვილი _ ქეთო ბუბუტეიშვილს დიდი მონაგარი მზრუნველობას არ აკლებს. მშრომელი ქალბატონი შვილებს ერთადერთ წინააღმდეგობას უწევს, სოფლიდან ქალაქში წასვლაზე უძალიანდება.

"სახლი თანადგომას" 100 წლიანების პროგრამა ბოლო რამდენიმე წელია, სამტრედიის მუნიციპალიტეტში წარმატებით ხორციელდება. მზევინარ ბოხუას სურვილი აქვს, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდოს და 100 წლიანთა პროგრამა წელიწადში ორჯერ მაინც მუშაობდეს.

მზევინარ ბოხუა, "სახლი თანადგომას" დირექტორი: "ასწლიანების რაოდენობა რომ იკლებს, ფაქტია, გასული სამი წლის განმავლობაში 3 ასწლიანი გვყავდა. წარმოიდგინეთ, სამივე გომის თემის მცხოვრები გახლდათ, ვამბობდით კიდეც იუმორით გომელების სიძლიერეზე, წელს კი ისინი აღარ შემოგვრჩნენ, ყოველ წელს ერთი გვაკლდებოდა. მაგრამ საგულისხმოა ის, რომ წელს გომიდან თუ არა ისევე მთაგორიანი კუთხიდან გორმაღალში გვყავს ერთი ასწლიანი ქალბატონი, ქეთო ბუბუტეიშვილი. 6 ოქტომბერს მოვინახულეთ ქალბატონი ქეთო ბებო, რომელიც ჩვენს მისვლას დიდხანს ელოდებოდა.

ასევე მოვინახულეთ მეორე ასწლიანი, სამტრედიელი ოლია ბურკაძე, რომელიც მის ასაკთან შეუდარებელი ენერგიით დაგვიხვდა. "სახლი თანადგომას" პროგრამა უხუცესი მოხუცთათვის წელსაც მრავალფეროვანი გახლდათ. 100 ლარის პროდუქტებში შევეცადეთ, ტკბილეულიც ყოფილიყო რაც მოხუცებს განსაკუთრებით უყვართ".

პროფესიულ დღეს მილოცავთ!

რკინიგზელები რკინიგზელთა ქალაქიდან

ლევან გაბეჩავა

ვაჟკაცური პროფესიაა რკინიგზელობა. პატივთან ერთად პასუხისმგებლობაა, იყო რკინიგზელი.

ჩვენი გაზეთის ერთგულმა მეგობარმა, ბატონმა რევაზ შამათავამ შემომთავაზა, ამას წინათ, ერთ ღირსეულ სამტრედიელზე, რკინიგზის ვეტერანზე, ბატონ შალვა ამაღლობელზე დამეწერა.

საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ჩემი რესპონდენტი კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა.

საქართველოს ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შალვა ამაღლობელმა, რკინიგზის სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე იმუშავა.

თავდაპირველად სადგურ სამტრედიაში სადგურის მორიგის ოპერატორად დაიწყო მუშაობა, იყო სამატარებლო დისპეტჩერი, ტერიტორიული სამმართველოს მთავარი ინჟინერი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, ამჟამად (რეორგანიზაციის შემდეგ) საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის მოძრაობის უსაფრთხოების განყოფილების დასავლეთ რეგიონის მოძრაობის უსაფრთხოების უფროსი რევიზორია და მთელი მონდომებით, ჩვეული პასუხისმგებლობით ემსახურება საყვარელ საქმეს, მინიჭებული აქვს საპატიო რკინიგზელის წოდება.

1976 წლიდან რკინიგზელი გახლავართ, ალბათ, 15 წელი იქნება, რაც არ მიძინია, რას ვიზამ, ასეთია რკინიგზელთა მუშაობის სპეციფიკაო. _ გვითხრა ბატონმა შალვამ და ის ღვაწლმოსილი რკინიგზელები გაიხსენა, წლების მანძილზე საოცარი რუდუნებით რომ ემსახურნენ საქართველოს რკინიგზას, ამჟამად კი ამქვეყნად აღარ არიან. ბევრნი, ბევრნი იყვნენ ისინი: ნესტორ გულბანი, ზაურ ჩხაიძე, კაკო კაჭარავა, მიხეილ კო-

გულის ახალგაზრდობით დაძლეული წლების ხანდაზმულობა

თეა ბაბუნაშვილი

ასეა უკვე წლეულია, შეიკრიბებიან, გაშლილ სუფრას მიუსხდებიან, რომელსაც სითბოსა და მზრუნველობის ხელი ეტყობა და ცეკვა-თამაშით, ლექსითა და სიმღერით იხსენებენ ახალგაზრდობისას გული სიამით რომ ძგერდა. თუმცა, გული არც ბერდება, ხანდაზმულობა ვერ აბერებს მას და ისევ სიყვარულით ფეთქავს...

"ხანდაზმულთა დღე" საერთაშორისო მასშტაბით შემოდგომაზე, ოქტომბრის პირველიდე რიცხვში აღინიშნება. ამ თვის პირველიდე კვირა მიუძღვნა ხანდაზმულებს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ. საზოგადოების სამტრედიის ფილიალმაც, ბუნებრივია, განსაკუთრებული დღეების რიგით დაგეგმა ივი და რამდენიმე დასამახსოვრებელი, სანახაობრივად და ემოციურად დატვირთული ღონისძიება აწყო ყოველდღიურობით, გაფერმკრთალებული წლების სიმრავლით დაღლილ მოხუცებს.

"ნაბიჯი მომავლისკენ გამოცდილი და ძლიერი ხანდაზმულების მონაწილეობით" _ ლოზუნგად ქცეული ეს სიტყვები კვირეულის დევიზადაც იქცა.

ჯერ ისევ ორ ოქტომბერს ფილიალის თანამშრომლები სამტრედიის სათნოების სახლს ესტუმრნენ, იქ მცხოვრები 22 მოხუცი მოინახულეს საჩუქრებით ხელდამშვენებულებმა. ყველაზე მთავარი ის გახლდათ, "სათნოების სახლის" ბინადრებმა კიდევ ერთხელ რომ იგრძნეს, არ ავიწყდებათ ისინი, არ ავიწყდებათ მათი განვლილი გზის, მათი ადამიანური დამსახურების გამო. ცნება სათნოება იმ წუთებში პირობითი არ ყოფილა! მეორე დღეს კი, სამ რიცხვში, წითელი ჯვრის სამტრედიელი წარმომადგენლები საკუთარ ბენეფიციარებთან ერთად "ერთი მაფინის" აქციით მელაურის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ეწვივნენ. "ჩვენს მომავალთან ერთად ვზეიმობთ", ერქვა საღამოს, რომელიც მუსიკალური ნომრებითა და ემოციებით დატვირთული გახლდათ. მოხუცების სითბოს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა საკუთარი მიამიტობა და გულწრფელობა შეაგებეს და ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო _ ბებიები და ბაბუები საკუთარი შვილიშვილებივით ეფერებოდნენ მათ. პატარა გოგობიჭებიც, დაბერებამდე რომ დიდი გზა აქვთ გასავლელი, შვილიშვილების სითბოთი ავსებდნენ ხანდაზმულ სტუმრებს. ტკბილეული და ერთი მაფინი, როგორც იმ დღის მთავარი საჩუქარი, ყველა მათგანს, ამასთანავე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებსაც ერგოთ. "წითელი ჯვრის საზოგადოების" სამტრედიის ფილიალის ხელმძღვანელი ნათია პაპავა მადლობას უხდის მელაურის თემში გამგებლის წარმომადგენელს, სოფიკო კიკაჩეიშვილს გაწეული დახმარებისთვის.

და ოთხი ოქტომბერი, დღე, რომელსაც მადლით გაშლილ სუფრასთან შეხვდნენ ორგანიზაციის ბენეფიციარები, დღე, როცა ძველებური უდარდელობით მოილხინეს, დარდი და სევდა ცოტა ხნით დაივიწყეს და ამქვეყნიური ამაოება ამქვეყნიური სიამოვნებით ჩაანაცვლეს.

სადღესასწაულო სუფრა რესტორან "ქალაქის გულში" ბიზნესმენ ბონდო ანჯაფარიძის დახმარებით გაიწყო. მან ინიციატივა გასულ წელსაც გამოიჩინა და როგორც ორგანიზაციის თანამშრომლები აღნიშნავენ, მსგავს სიტუაციებში ყოველთვის მზადაა დასახმარებლად.

სუფრაც ჩინებული გახლდათ და მოლხენაც. მუსიკალური ნომრები ამხიარულებდა განწყობას და ხელიც გააშლევინა მოხუცებს "დაისმა". იმ წუთებში გულის ახალგაზრდობამ სძლია წლების ხანდაზმულობას და ... ღიმილი უდარდელად რომ დასთამაშებდათ სახეზე, ერთმანეთს კიდევ ბევრი წლის გასალევად უსაგზლეს.

დაემთხვა და ერთ-ერთი ბენეფიციარისთვის დაბადების დღე განსაკუთრებით დასამახსოვრებელი გამოდგა. 4 ოქტომბერს დაბადებულმა მალვინა ღაღანიძემ წითელი ჯვრის ლოგოიანი ტორტი გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ დავით ბახტაძესთან ერთად საკუთარი დაბადების დღის ტორტის ამპლუაში გაჭრა.

მადლიერებას განა მარტო სიტყვებით გამოხატავდნენ, გამოხატავდნენ ისე, როგორც შეეძლოთ. გულნარა ჩიგოგიძემ საკუთარი ხელნაკეთი ხატი საჩუქრად გადასცა ორგანიზაციის სამტრედიის ფილიალს.

"ჩვენი მაზანიც ეს არის, დახმარების ხელი გავუწოდოთ შეჭირვების ჟამს და თუნდაც, რამდენიმე საათით დარდი გავუქარვოთ მათ, ვისაც ვეჭირდებით და ვეიმედებით. ვცდილობთ და გამოგვდის მათთვის სითბოს განაწილება. წელს კიდევ ერთი კვირეული ჩავატარეთ ადგილობრივი გამგეობისა და საკრებულოს დახმარებით. იმედია, მომავალშიც შევძლებთ, ასეთი სუფრაუხვები და გულუხვები ვიყოთ." _ ამბობს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის ხელმძღვანელი ნათია პაპავა და იმასაც აღნიშნავს, რომ 120 ბენეფიციარი ამჟამად ჰყავთ. სოციალური პრობლემების გამო მსურველი კვლავ ბევრია.

"ქართულმა სუფრამ კიდევ ერთხელ შეასრულა თავისი ძირითადი დანიშნულება _ დაახლოების, სითბოსა და სიყვარულის, თანადგომის გამოხატვის ფუნქცია. მადლობა წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალს ამ ადამიანების გაბედნიერებისთვის და იმისთვის, რომ საშუალება მოგვცეს, ხანდაზმულებისადმი ჩვენი დამოკიდებულება ამ ფორმით გამოგვეხატა. ჩვენც დავბერდებით და იქნებ მაშინ თვალწინ დაგვიდგეს ეს წუთები, ჩვენც დავბერდებით და არ უნდა შეგვრცხვეს, რომ ახალგაზრდობაში ხანდაზმულებს რამე დავაკელით." _ სტუმრად მიწვეული დავით ბახტაძე სუფრას თამადობდა.

"წავეენ ფოთლებს, ვით დღიურებს ჩავლილ ზაფხულის" _ იმ დღესაც შემოდგომის გაყვითლებულ ფოთლებს აცეკვებდა ოქტომბერი. ხსოვნის მტვერმიყრილი ფურცლებიდან გარდასული დღეების სიმწვანე იკითხებოდა. ხანდაზმულიო, გულს ვერ შეასმინეს და ამიტომაც უკვე ნანახი და ასახდენი სიზმარივით იხსენებდნენ ჯერ ისევ გუშინდელ ახალგაზრდობას.

პალეიშვილი, გიმერ ჩხარტიშვილი, გივი ძნელაძე და სხვები.

ღვაწლმოსილ რკინიგზელს არც ახალგაზრდა კოლეგების თავდადებული გარჯა დარჩენია ყურადღების მიღმა და აღნიშნა, რომ მალხაზ არველაძის, ჯონი ართქმელიძისა და სხვათა სახით პერსპექტიული, ახალგაზრდა კადრი ჰყავს სისტემასო.

განსაკუთრებული სითბოთი კი ჩვენმა რესპონდენტმა ბატონი რევაზ შამათავს მისამართით ისაუბრა, გამოცდილი რკინიგზელი, პროფკავშირული მუშაკია ბატონი რეზო, ბევრი შეიძლება მისგან ისწავლოს ადამიანმაო.

_ ნება მომეცით, ვისარგებლო "სამტრედიის მაცნეს" საშუალებით და რკინიგზელთა პროფესიული დღე მივულოცო საქართველოს რკინიგზის მრავალათასიან კოლექტივს, დარსა და ავდარში შეუფერხებლად რომ ემსახურებიან მოქალაქეებს.

მეამაყება, რომ პროფესიულ დღესთან დაკავშირებით არაერთი ღირსეული ადამიანია წარდგენილი სხვადასხვა ჯილდოზე. _ დასძინა ბატონმა შალვამ.

ბატონი შალვას მეუღლეც რკინიგზელია, შვილები სტუდენტები არიან. სიამოვნებით იხსენებს ჩვენი მოსაუბრე იმ დროს, რაც სამტრედია რკინიგზის კვანძი იყო, გაცილებით მეტი ტვირთის გადაზიდვა და მეტი მგზავრის გადაყვანა რომ ხდებოდა, მიაჩნია, რომ რაღაც ფორმით წარმომადგენლობის ან სამმართველოს, ან განყოფილების სამტრედიაში არსებობა აუცილებელია. ეს კი თავისთავად მეტ სამუშაო ადგილს გააჩენს და სასიკეთოდ აისახება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურაზეც.

როგორც ვთქვით, ამ დღეებში პროფესიული დღე აღნიშნეს ქართველმა რკინიგზელებმა. ვულოცავთ ბატონ შალვას, ყველა რკინიგზელს ამ დღეს და წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

"საუკეთესო პროფესიის" მატარებელი

ნურვინ იფიქრებს, თითქოს სიმბოლურად, სათქმელის გასალამაზებლად ვუწოდეთ ბატონ ილია ქურდობაძეს "საუკეთესო პროფესიის" მატარებელი. მას ეს საპატიო წოდება 2015 წელს მიენიჭა უწუნო და უავარიო მუშაობის 30 წლის თავზე. საპატიო სახელის მოპოვება, ცხოვრების რომელ უბანს ან რომელ პროფესიასაც უნდა ეხებოდეს იგი, დამოკიდებულია საქმის ცოდნაზე, არჩეული სპეციალობისადმი სიყვარულზე. ეს კარგად ესმის სამტრედიის სავაგონო დეპოს მატარებლების გამსინჯველ ილია ქურდობაძეს.

პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბიძის, სავაგონო დეპოს თანამშრომლის რობერტ ოჩხიკიძის რჩევით ილია მუშაობას იწყებს სავაგონო დეპოში მატარებლის გამსინჯველად _ პროფესია, რომელიც ძალზე საპასუხისმგებლოა. გამსინჯველმა უნდა შეამოწმოს, როგორც სახალხო, ისე სატვირთო მატარებლის "ბუქსების" ხურება, რომელიც მთავარია მატარებლების უსაფრთხო და უავარიო მოძრაობისათვის. გამსინჯველის პროფესია ერთ-ერთ რთულ და საპასუხისმგებლო საქმედ ითვლება, რადგანაც მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოება ბევრად არის დამოკიდებული მის სწორ და გამართულ მუშაობაზე. თითოეულ ცვლაში 8 სახალხო და 8-10 სატვირთო მატარებლის გატარება ხდება. გამსინჯველის მოვალეობაა, უზრუნველყოს სავალი ნაწილების სრულყოფილი შემოწმება და შეუფერხებლად გაატაროს პირადი უშიშროების ყველა წესის დაცვით.

უყვარს თავისი საქმე ბატონ ილიას და ბევრ ახალგაზრდასაც ჩაუნერგა შრომისადმი სიყვარული. მის გვერდით აღიზარდნენ და დაეუფლნენ გამსინჯველის პროფესიას ვასილ ვაშაკიძე, გელა ტალიკაძე, სერგო ეფრემიძე, ზურაბ დუნდუა და სხვები. ისინი დღეს სავაგონო დეპოს საუკეთესო გამსინჯველებად ითვლებიან.

რევაზ შამათავა

მასწავლებელი...

ლევან გაბეჩავა

რამდენ სითბოს, სიყვარულს, პასუხისმგებლობას, მოწიწებას იტევს ეს ერთი სიტყვა.

ვის არ უყვარს, ვინ არ აფასებს თავის მასწავლებელს.

პედაგოგთა პროფესიული დღე აღინიშნა ამ დღეებში და ჩვენც ამ ფაქტის გამო გადავწყვიტეთ, ორიოდე სიტყვით ის პედაგოგები გაგვეხსენებია, ათეული წლების განმავლობაში რუდუნებით რომ ემსახურნენ მომავალი თაობების აღზრდას და ასევე წლების მანძილზე თანამშრომლობდნენ "სამტრედიის მაცნესთან".

არაერთხელ მინახავს ჩვენი უფროსი კოლეგა ბატონი ოთარ ნაფეტვარიძე ბავშვივით როგორ წამოიჭრებოდა ფეხზე, როცა მასთან მისი პედაგოგი, ბაშის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი **ლავრენტი თვალავაძე** შემოვიდოდა. დაუვიწყარია ბატონი ანზორ გრიგოლიას ურთიერთობა ცნობილ პედაგოგ **თამარ გოთოშიასთან**.

ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდე, მართლწერა, ახალგაზრდობის მორალურ-ზნეობრივი აღზრდა გახლდათ უკვე იმიერში გადასული პედაგოგების, ქალბატონების **ნონა ნაცვლიშვილის, ვერა კუტალაძის, რაისა არველაძის, იზო ლორიას, გულნარა გიორგაძის, კლარა შანიძის, ეთერ თევზაძის... ბატონების, აკაკი ჯამბურიას, ვალერიანე მეგრელიშვილის, ოთარ გეფერიძის, ოთარ კახიანის, ალექსანდრე ქუთათელაძის, ვაჟა ხვიჩიას, გოგი ჩაჩუას...** საგაზეთო პუბლიკაციების თემატიკა.

უნდა ითქვას, რომ ამ და სხვა პედაგოგებს არავინ აძალებდათ ეთანამშრომლათ გაზეთთან. მედიის საშუალებით ესაუბრათ ახალგაზრდების, მოზარდებისათვის, მაგრამ პროფესიული უფლებები კარნახობდათ ყოველივეს და ის გარემოება მართლწერისა და მეტყველების კულტურის დარღვევით რომ იყო გამოხატული.

დღეს კი, დღეს გაცილებით უარესი ვითარებაა, ამ კუთხით, თუმცა, არსაიდან ხმა, არსით ძახილი.

ამდენად, ამ გარემოებამაც უფრო დასაფასებელი, დაუვიწყარი გახადა ჩვენს მიერ ციცქნა წერილით გახსენებული ადამიანები, მათი ურთიერთობები გაზეთთან, მათი ნაზრევი უკვე სიყვითლეშეპარული გაზეთის ფურცლებს რომ შემორჩა მათ საქებრად, სახსოვრად.

ნათელში იყვნენ!

ფრანგი პედაგოგი პირველ სკოლაში

ნათია ნაცვლიშვილი

27 წლის გოტიე კრეპტი, 2 კვირაა, რაც პროექტის "ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად" ფარგლებში, პირველ საჯარო სკოლაში ფრანგულის პედაგოგ ირმა ვაშაკიძესთან ერთად, გაკვეთილებს ატარებს. ამ სკოლაში ფრანგული ისწავლება, როგორც არჩევითი და როგორც მეორე უცხო ენა. პედაგოგ ირმა ვაშაკიძის მიერ განხორციელებული არაერთი საინტერესო პროექტის შესახებ გვიცნობებია ჩვენი მკითხველისათვის. ამ პედაგოგის აქტიურობამ შეუწყო ხელი იმასაც, რომ ფრანგი პედაგოგი ერთწლიანი პროგრამით სწორედ პირველ სკოლას სტუმრობს. წლეულს პედაგოგმა მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის ქალაქ ნიცის UNIVERSITES DU MONDE-ის მიერ ორგანიზებულ კონკურსში, სადაც მსოფლიოს ფრანგული ენის პედაგოგები ცდიან ბედს. პედაგოგმა კონკურსში გაიმარჯვა და ორკვირიანი დაფინანსებული სტაჟირებით იმყოფებოდა ნიცაში, სადაც კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაესწრო ძალიან საინტერესო ტრენინგებს და სამეცნიერო კონფერენციებს. _ ადამიანი, რომელიც სამტრედიაში ფრანგულს აცოცხლებს_ ასე მიმართავს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ფრანგული ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირმა ვაშაკიძეს. პედაგოგი საუნივერსიტეტო კონფერენციებში ყოველწლიურად ღებულობს მონაწილეობას და სამეცნიერო მოხსენებებით წარსდგება ხოლმე აუდიტორიის წინაშე.

რაც შეეხება უშუალოდ ქართულ სკოლებში ფრანგული ენის პედაგოგთა ყოფნას. უცხოური ენების სტანდარტში ადგილი დაიმკვიდრა მიმართულებამ _ "კულტურათა დიალოგი". ეროვნული სასწავლო გეგმა ხაზს უსვამს იმას, რომ უცხო ენის საკომუნიკაციო უნარების დაუფლებასთან ერთად, უცხო ენის გაკვეთილი განსხვავებული ცხოვრების წესის, ღირებულებების, მენტალობის ადამიანების პატივისცემისა და უცხოური კულტურული კონტექსტებისადმი დადებითი დამოკიდებულების გაღვივებას ემსახურებოდეს. მოსწავლეთა ყურადღება უნდა გამახვილდეს მშობლიური და უცხოური კულტურული რეალიების არსებობაზე, მათ უნდა ჩამოუყალიბდეთ კულტურული მრავალფეროვნების განცდა და მისი დაფასების უნარი. უცხოენოვანი პედაგოგის ყოფნა სკოლაში მოსწავლეებს ხელს შეუწყობს ენობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბებაში, ისინი უკეთ შეძლებენ უცხოური კულტურის სფეროდან ინფორმაციის ამოცნობას, მშობლიურ და ფრანგულ ენებს შორის პარალელების გავლებას.

პირველსკოლელებს სტუმრად ვეწვიეთ და ფრანგულის გაკვეთილის შემდეგ პედაგოგებს გავესაუბრეთ. ირმა ვაშაკიძე: "ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოში პროგრამის "ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად" ფარგლებში საქართველოში ფრანგი პედაგოგებიც ჩამოდიან. დაიწყო რეგიონებში ფრანგული და გერმანული ენების პედაგოგთა გამოგზავნა, წლეულს, საქართველოს მასშტაბით სამი ფრანგულის მასწავლებელი შეირჩა თბილისში, კახეთსა და სამტრედიაში. მათთან იდება ერთწლიანი ხელშეკრულება. ორი მასწავლებელი ვერ ჩამოვიდა, მასწავლებელთა სახლის გადაწყვეტილებით, არჩევანი სამტრედიის პირველ სკოლაზე შეჩერდა. გეტყვით იმასაც, რომ მასწავლებელთა სახლის წარმომადგენლები 4 წლის წინ ბახალეთში რესპუბლიკურ კონფერენციაზე გავიცანი, სადაც წარმოვადგინე ნაშრომი "ფრანგული ენის სწავლების მოტივაციისათვის". ალბათ, ბევრი კომპონენტი გაითვალისწინეს მასწავლებელთა სახლში, როცა საბოლოო გადაწყვეტილება ჩვენს სკოლაზე შეაჩერეს. ეს პარტნიორული გაკვეთილები ჩემთვისაც ბევრის მომცემია, ერთმანეთს პედაგოგიურ მეთოდებს ვუზიარებთ, გოტიეს პირველივე დღეს ვუთხარი: "შენ ხარ ალექსანდრე დიუმას ნაკვალევზე-მეთქი, არ არის საქართველოში ოჯახი, სადაც არ დევს დიუმას წიგნები, არ არის ქართველი, ვისაც არ წაუკითხავს "სამი მუშკეტერი" და "გრაფი მონტე-კრისტო", ვინც არ იცნობს ჰიუგოს, მოპასანს ბალზაკს... ბოლოს და ბოლოს, იმყოფები იმ ადგილას, რომელიც აღწერილია ალექსანდრე დიუმას "კავკასიაში," სადაც 2 თავი ეძღვნება მოგზაურობას ფოთიდან მარნამდე და მარნიდან ქუთაისამდე.

"

ირმა ვაშაკიძე ცდილობს, მასწავლებელთა სახლს მისადმი გამოხატული ნდობა ზედმიწევნით გაუმართლოს და ფრანგ სტუმარს საქართველო კარგად გააცნოს. ახლახან იმყოფებოდნენ მარტვილის კანიონზე. წინ კიდევ მრავალი საინტერესო ექსკურსია ელით. იგეგმება ასევე საჩვენებელი გაკვეთილები, რომელთაც მასწავლებლის სახლის წარმომადგენლებიც დაესწრებიან. ორივე ამ პედაგოგს დაგეგმილი აქვს სკოლაში ფრანგული კლუბის შექმნა, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს, ვინც ფრანგულად წერა-კითხვა იცის, ენაში ცოდნის გაღრმავების შანსი ეძლევა. პედაგოგები და მოსწავლეები ასევე აპირებენ ფრანკოფონიის დღეების ფარგლებში ჩაერთონ საფრანგეთის საელჩოს სხვადასხვა აქტივობაში.

ირმა ვაშაკიძემ ნიცაში ყოფნის დროს გაიცნო და დაიმეგობრა ფრანგული ენის სწავლების მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი, სინტია ეიდ ფადი. ასევე, პირველმა სკოლამ დაიმეგობრა იტალიის ქალაქ გროტაგლის ფრანჩესკო ჯაკომო პინატელის ფრანგული კოლეჯი, პედაგოგი თანამშრომლობს კოლეჯის მასწავლებელ მარია ერარიოსთან. დიდია მოსწავლეთა ინტერესიც, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი ამ ურთიერთობაში. გარდა კორესპონდენციებისა, მოამზადეს ელექტრონული პრეზენტაციები ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ტრადიციების შესახებ და აგზავნიან ეტაპობრივად, ამ ურთიერთობებში დიდი ინტერესით ჩაერთო ფრანგი პედაგოგიც.

გოტიე კრეპტი: " გახლავართ ფრანგული ენის პედაგოგი, რომელიც ამ ენას უცხოელებს ასწავლის. დამთავრებული მაქვს მონპელიეს უნივერსიტეტი, საქართველოში და თქვენს ქალაქში დიდი ხანი არ არის, რაც ვცხოვრობ, მაგრამ ხალხის დიდი სითბო ვიგრძენი. ვნახე თბილისი, ქუთაისი, პაწაწინაა და საყვარელი სამტრედია. ამ სკოლაში ძალიან მომწონს ის, რომ ბავშვები ძალიან თავაზიანები არიან და პატივისცემით მექცევიან, რატომღაც ფრანგულის შესწავლა პატარებს უფრო აინტერესებთ, ვიდრე დიდებს."

გოტიე დაინტერესებულია ქართულის შესწავლით, უკვე კითხულობს ქართულად. პირველი საჯარო სკოლის დირექტორი, ხათუნა ფაილაძე:

"ჩვენი სკოლა ბევრ სკოლას შორის შეირჩა, რაც დიდი მიღწევაა, ეს ირმა მასწავლებლის დამსახურებაა, არ არსებობს ფრანგულ ენაში რაიმე პროექტი, ირმამ რომ გამოტოვოს. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულის საათები ძალიან მწირია სკოლაში, ყველანაირად ვცდილობთ, ამ ლამაზ ენას ვუერთგულოთ, მასწავლებელი არის ძალიან აქტიური, წარმატებული, მუდამ პოულობს სიახლეებს, ინოვაციურ აქტივობებს... წარმოუდგენელია, ირმა მასწავლებლის გარეშე სკოლა. ფრანგი პედაგოგის მოსვლა ჩვენს სკოლაში ამ ენის პოპულარობას აამაღლებს. მას შესანიშნავი მასპინძელი ჰყავს_ ჩვენი სკოლის დარაჯი, ბატონი ოლეგ კალაძე. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს პედაგოგებსა და მოსწავლეებს".

ღია კარის დღეს უამრავ მოსწავლეს უმასპინძლეს

ნათია ნაცვლიშვილი

აქ ყოველთვის ახალგაზრდული ენერგიის, ხალისის, საყვარულის, ინტელექტის ზეიმია. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი სამტრედიელი ბავშვების კულტურულ განვითარებაზე, სულიერი ღირებულებების ჩამოყალიბებასა და თვალსაწიერის გაფართოებაზე ზრუნავს. სასწავლო წელი დაიწყო და სახლმა ღია კარის დღე მოუწყო აქ სხვადასხვა შემოქმედებით წრეზე სიარულის მსურველებს.

საინტერესო გამოდგა პირველივე დღე. პედაგოგებს სახლის დირექტორი, ტატა გოგუაძე მიესალმა და მიმართა: ''გასულ სასწავლო წელს ერთად მივაღწიეთ მნიშვნელოვან წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში, თუმცა უამრავი სიძნელე დასაძლევი დაგვრჩა, რასაც მომავალში მეტი აქტიურობით და ერთიანობით გადავლახავთ. ბუნებით ოპტიმისტები ვართ, ოპტიმისტებისათვის კი ყოველი ახალი სასწავლო წელი ახალი პროგრამების, გეგმების, პერსპექტივების და იმედების განხორციელებას უკავშირდება. ურთულესი საერთაშორისო გამოწვევების წინაშე მდგარი ქვეყნისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სრულფასოვანი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, პროგრესული მიღწევების გაზიარება, არ გვაქვს უფლება, ერთ ადგილზე ვიდგეთ და ფეხი არ ავუწყოთ თანამედროვე გამოწვევებს, ამ საქმეში თქვენი, წრის ხელმძღვანელების როლი და წვლილი განუზომელია, გისურვებთ ჯანმრთელობას, პროფესიულ წინსვლას, თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურას, შრომის ღირსეულ ანაზღაურებას.'' ტატა გოგუაძე ასევე დიდი სიყვარულით მიესალმა მოსწავლეებს და წარმატებები უსურვა მათ.

იმ დღეს ბავშვებს მეგზურობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა პარლამენტის ხელმძღვანელმა, თამუნა ჯინჭველეიშვილმა გაუწია.

სახლში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: 1. ისტორია-მხარეთმცოდნეობის (მარინა ქართველიშვილი), 2. ზოგადი უნარები (ლია ზაქარიაძე), 3. მათემატიკა (ნესტან მსხილაძე, ლია ქორიძე), 4. ქიმია (ანნა თევზაძე), 5. ფრანგული ენა (თამარ ნიკურაძე), ინგლისური ენა (ანჟელა ბუაძე, მარინა ცინცაძე), 6. რუსული ენა (ნათია გოგუაძე) 7. გერმანული ენა (მარინა ადეიშვილი) 8. წიგნის მოყვარულთა წრე (ლალი ნიშნიანიძე), 9. ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას (მამა რომანოზ ნინუა), 10. ჟურნალისტთა წრე (ნინო ნანიტაშვილი), 11. სამოქალაქო ეკონომიკა (გიორგი ნიკოლაძე), 12. თოჯინების თეატრი (ლალი პირტახია), 13. ქსოვა (მაია თარგამაძე), 14. მაკრამედიზაინი (ირინა ქორიძე), 15. მოსწავლეთა თეატრი (ვეფხია ნადირაძე), 16. ბავშვთა შემოქმედებითი გაერთიანება ''ორუდილა'' (ნონა ჭახნაკია), 17. ფორტეპიანო, ზეპირი სწავლება (ირმა ადამია), 18. საგალობელთა შემსწავლელი წრე ''იადონი'' (ფატი კოპალეიშვილი), 19. სამეჯლისო ცეკვები, ჯგუფი ''ფანტაზია'' (ნანა ბებია, ქრისტინე ზაქრაძე), 20. ქართული ხალხური ცეკვები ''ფოლკლილე'' (გელა თურმანიძე, მაკა მეფარიშვილი), 21. ქართული ხალხური საკრავები, ''ჩანგი'' (მერი ტკვაცირია), 22. ქართული ხალხური სიმღერები ''ალილო' (მადონა კოხრეიძე).

'' ბავშვებს საშუალება ჰქონდათ, ყველა შემოქმედებითი წრის საქმიანობას გასცნობოდნენ, ჩვენ მუდამ მათ სამსახურში ვართ. დღეს ყველა მათგანს კმაყოფილი სახე აქვს, ყველას აქვს განსხვავებული ნიჭი, რომლის განვითარებასაც ხელს შევუწყობთ''. _ განუცხადა ''სამტრედიის მაცნეს'' დირექტორის მოადგილე ელიკო ანკვაბმა.

გელოდებით იქ, სადაც...

ლეჟან გაბეჩავა

''ნორმები არ არსებობს და არის სივრცე დაუსაბამო, უსასრულო, თავისუფალი''... ეწერა ორიგინალურ მოსაწვევ ბარათზე, თუმცა, სოციალური ქსელის მეშვეობით გაცილებით ადრე გახდა ცნობილი, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ახალგაზრდა პოეტები შეხვედრას მართავდნენ.
5 ოქტომბერიც მოვიდა.

იდეა, პოეტებს, რომელთა შემოქმედებასაც ასე თუ ისე იცნობდა, უფრო ახლოს გაცნობოდა და სხვებისთვისაც გაეცნო, ბექა ჩანტლაძეს ეკუთვნის. იგი ტექნიკური უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტია, ბოლო წელია ვერლიბრებს წერს, ისე კი, სამი წელია, მწერლობითაა დაკავებული. რამდენიმე ხნის წინ გაიცნო იგი ''სამტრედიის მაცნეს'' მკითხველმა.

ლიტერატურული საღამო ჩარჩოების გარეშე _ ასე შეიძლება დავარქვათ დღევანდელ შეხვედრასო, გვითხრა ბექამ საღამოს დაწყებამდე, პირველი სიტყვაც მან ითხოვა და მისეული ხედვა დააფიქსირა პოეზიაზე, მწერლობაზე. მერე თავად ბექა ჩანტლაძემ, მკითხველთათვის კარგად ნაცნობმა ახალგაზრდა პოეტმა, არაერთ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულმა ბექა ფოცხვერიამ და ასევე ახალგაზრდა შემოქმედმა ნიკო დანგაძემ საკუთარი ლექსები წაიკითხეს.

საღამო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულ მოსწავლეთა პარლამენტის ხელმძღვანელს, თამუნა ჯინჭველეიშვილს მიჰყავდა მისთვის ჩვეული უშუალობით, თავადაც საინტერესოდ დაიქსირა კარგად წაკითხვისათვის.

ამ დღეს იუბილარი იყო ბექა ფოცხვერია, ფაქტი ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ბექასთვის უკვე მშობლიურად ქცეულ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სახელით იუბილარს, ახალგაზრდა პოეტებს ღვაწლმოსილი მსახიობი, ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მზია ჩიხლაძე მიესალმა და იუბილარს საჩუქარი გადასცა.

შეკრებილთ, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი რუსუდან კახიანიც მიესალმა, მან ბიბლიოთეკაში ბექას პირველი ნაბიჯი გაიხსენა, იუბილარს საჩუქარი გადასცა და წარმატებები უსურვა პოეტებს.

დღევანდელ შეხვედრას პოეზიის საღამოს პრეტენზია არა აქვს, იდეა ახალგაზრდებს ეკუთვნით, ჩვენ მხარი დავუჭირეთ უბრალოდო, _ აღნიშნა ელიკო ანკვაბმა და მისეული სითბოთი მიესალმა იქ მყოფთ.

_ თუკი მწერალი ''სულის ინჟინერია'', ეს ნიშნავს, რომ თქვენი შემოქმედებით შეგიძლიათ ჩვენი, რიგითი ადამიანების სულის გაკეთილშობილება... წინ დიდი გზა გაქვთ გასავლელი, წარმატებებს გისურვებთ. _ უსურვა ახალგაზრდა შემოქმედთ ''სამტრედიის მაცნეს'' მთავარმა რედაქტორმა ქეთევან ჭელიძემ და დასძინა: რედაქციის კარი ღიაა ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის, მობრძანდით და თქვენი თავი გააცანით საზოგადოებას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ტატა გოგუაძემ ბექა ფოცხვერიას, ნიკო დანგაძეს, ბექა ჩანტლაძეს საჩუქრები გადასცა და წარმატებები უსურვა შემოქმედებით ასპარეზზე.

ახალგაზრდები იდეის მხარდაჭერისათვის მადლობას არ იშურებდნენ ტატა გოგუაძის, ელიკო ანკვაბისა და ნატა ჯიქიასადმი.

დარბაზი ჩვენც კმაყოფილებმა დავტოვეთ.

ეროვნული მოძრაობის ისტორია სამეგრელოში

ქართველი ღლეები და ზვიად გამსახურდიასთან შესმული საღლეგრძელო

ნათია ნაცვლიშვილი

ზაზა კაჭახიძე სხვა სამეგრელიელ ახალგაზრდებთან ერთად ეროვნული მოძრაობის ავანგარდში იდგა. ამ ქალაქმა ბევრ წინააღმდეგობას გაუძლო და შეძლო, ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლებისათვის და ეროვნული იდეებისათვის ეერთგულა. უკვე თმებშეგერცხლილი თაობა უემოციოდ ვერ იხსენებს, თუ როგორ ეწირებოდნენ პრეზიდენტის ერთგულებას, როგორ იცავდნენ სიცოცხლის ფასად სამაჩაბლოსა და აფხაზეთს, როგორ გადაურჩნენ სამოქალაქო ომს და ძმის ნასროლ ტყვიას, იმ ღლეების გახსენებისას ცრემლები ერევა ჩვენს რესპონდენტს. განსაკუთრებით ემოციური კი იმ წუთების გახსენება გამოდგა, როცა ე.წ. ბუნკერში შაქრის ტომრებზე დასვენებული ღვთისმშობლის ხატის წინ ზვიად გამსახურდია ქართველთა ერთიანობაზე ლოცულობდა... სამეგრელოს მუნიციპალიტეტის სამხედრო საბჭოს უფროსი ზაზა კაჭახიძე ეროვნული მოძრაობის წლებს იხსენებს...

_ ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, იმთავითვე ვაპროტესტებდით ახალგაზრდები საბჭოთა რეჟიმს. გამოჩნდნენ ლიდერები, რომელთაც გვითხრეს, რომ საქართველოსაც შეეძლო დამოუკიდებელ ქვეყნად ყოფნა. ზვიად ძიძიგური პირველად 1988 წელს ვნახე, გოჩა აბულაძესთან (ახლა მეუფე სპირიდონი) ერთად, რომელიც დანგრევას გადარჩენილ ტაძრებთან პარაკლისს ატარებდა. ეტყობა, ქართველ ხალხს სწყუროდა წირვა-ლოცვა. ჩვენს სოფელში, ყაზბეგის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში შევხვდი პირველად ზვიადს, ეს ხის ტაძარი კოლმეურნეობის საწყობად იყო ქცეული, მანამდე კი _ კინოთეატრად. მერე ''ილია მართლის საზოგადოებაში'' გავწევრიანდი, სამხატვრო გალერეაში ვიკრიბებოდით, ზვიად გამსახურდიას დაარსებული ჰელსინკის კავშირის წევრი ვიყავი ქუთაისში, მაგრამ მაინც სამტრედიამ გადმომძალა და აქ ჩამოვედი. პირველ მრავალპარტიულ არჩევნებზე ქუთაისის საარჩევნო კომისიის წევრიც გახლდით, მერე ცხინვალის ამბები დაიწყო და ტყვიებმაც გადაგვიქროლეს თავზე...

_ ეროვნული მოძრაობის გამარჯვების შემდეგ რაიმე თანამდებობა გეკავათ?

_ დიდი ჯიხაიშის საკრებულოს უხელფასო დეპუტატად ამირჩიეს, სოფლებს თავისი საკრებულოები ჰქონდა მაშინ. მე და მერაბ კაჭახიძემ, ჩემმა ბიძაშვილმა ვთქვით, წავალთ ცხინვალშიო, მოხალისეები ვახორციელებდით სოფლებში, ზემო და ქვემო ნიქოზში პატრულირებას, იქ შეტაკებებიც იყო, პოზიციური ბრძოლებიც, მაგრამ, მასშტაბური არა. ორი კვირის მერე ვიცვლებოდით, რამდენჯერმე მოგვიწია წასვლა.

_ მოგვიანებით საკმაოდ დიდი მისია დაგეკისრათ _ 24-ე ბატალიონის ხელმძღვანელობა. ამ ბატალიონმა არაერთ ბრძოლაში ისახელა თავი...

_ არჩევნების მერე ზვიად ძიძიგურის ძალისხმევით ჩამოყალიბდა ეს ბატალიონი, მე და ჩემი მეგობარი, აწ გარდაცვლილი ბეჟან დარსაველიძე ბატალიონში არ ვირიცხებოდით, მაგრამ ყოველ საღამოს დავდიოდით ჩვენს მეგობრებთან. როცა დედაქალაქში ოპოზიცია დაუპირისპირდა ხელისუფლებას, ჩავედი თბილისში. ჩვენი ბატალიონი იქ ტექნიკასაც აგზავნიდა და სამხედროებსაც. დიდი ტექნიკა არ გვქონია, მაგრამ მაინც. ორთაჭალაში იყო გვარდიის სამმართველო, იმ ღლეებში, თბილისის ომის დროს, თანამებრძოლი ვეფხია წიქვაძე დაგვეღუპა. ის 1991 წლის ბოლოს ჯავშანტრანსპორტიორის აფეთქებისას დაიღუპა, გვარდიის სამმართველოდან გადმოასვენეს მერე. მთავრობის სახლში გვეკავა ჩვენი პოზიცია, ბატალიონის მეთაური თამაზ ესებუა იყო.

_ ალბათ, იმედგადაწურულებიც იყავით...

_ ქაშუეთიდან რომ გვესროდნენ, ზვიად გამსახურდიამ ბრძანა, ქაშუეთს არ ესროლოთო. რამდენჯერმე შევხვდით პრეზიდენტს, ზვიადი იყო მორწმუნე კაცი, ერთი მომენტი მახსენდება, ღვთისმშობლის ხატთან ლოცულობდა საქართველოზე... რუსის ჯარმა რომ დაიწყო ოპოზიციის მხარდაჭერა და ზარბაზანი მოიტანეს, ვითარება დამძიმდა, მანამდე ყუმბარმტყორცნებს უძლებდა მთავრობის სახლი. ბოტანიკური ბაღის მხრიდან რომ ისროლეს ზარბაზნიდან, შემოანგრია კედელი, დაიჭრნენ შალვა ცინცაძე, ამირან ხუჭუა და ცეცხლი გაჩნდა, დემურ ლომიძე იყო სამტრედიელი სახანძროს უფროსი, იქვე კედლებში იყო დამონტაჟებული სათანადო ტექნიკა, წყალი მოვუშვი, ვაქრობდი, მეორე გავარდა და მესმის ბეჭმოგლეჯილი ლომიძის ყვირილი... ეს ბიჭები რომ დაგვეჭრნენ, ბუნკერში ექიმებთან წავიყვანეთ, საბედნიეროდ, პუტჩისტები სასწრაფოს ატარებდნენ, პრეზიდენტი მოვიდა ჩვენთან, ბიჭები გაამხნევა, მალე ზვიადმა დატოვა მთავრობის სახლი, სამხედრო ''ბუშლატი'' ეცვა, თურმე ოქროები გაჰქონდა, როგორც მავანი ამბობდა მასზე. ტანჯული სახით გამოვიდა, ის შავ 24-ში იჯდა, წინ ორი ჯავშანტრანსპორტიორი მიუძღოდა, მისი კოლონის ერთ-ერთ ავტობუსში ვიჯექი, ბარათაშვილის ხიდზე ჩამოსვლისას ჩვენს ავტობუსს ყუმბარმტყორცნი ესროლეს. დაგვეღუპა უმლიერესი პიროვნება ფხვენისელი გოგია. არეულობა რომ დაიწყო სამაჩაბლოში, ამ პატრიოტმა კაცმა ვაშლის მთელი მოსავლის ფულით იყიდა იარაღი და სოფელი შეაიარაღა, რომ დაეცვა. მან მანამდეც, ნიქოზში რომ ვპატრულირებდით, სიკვდილს გადაგვარჩინა. რუსული ავიაციის ნაწილი იდგა იქ, ღილაობით ჩუმად პოსტიდან გამოვდიოდით, ოსები შემოგვყვნენ უკან, მერაბ კაჭახიძე ცოტა ზანტია, პოზიციიდან რომ გამოვდიოდით, მას ესროლეს, საბედნიეროდ, ჩაწოლა მოასწრო. ლიახვის ხეობის შენაკდს შემოჰყვნენ ოსები, მივასწარით და არ შემოვუშვით სოფელში. ორი ლიმონკაღა გვქონდა, ტყვია აღარ დაგვრჩა და მახსოვს, ბეჟან დარსაველიძემ იფიქრა, ვკვდებიო და უკანასკნელად ''ბავლეგო'' იმღერა, იქვეა სოფელი ფხვენისი. გოგიას ე.წ. ''მიგის (ვერტმფრენის) ტყვიამფრქვევი'' ჰქონდა ''კამაზზე'' დამონტაჟებული, ოსებს დაუშინა ტყვია. ცხინვალის საავტომობილო ქარხანაში იყვნენ დაბანაკებულები, მთელი კედელი ჩამოუნგრია... დავუბრუნდები მთავრობის სახლიდან გასვლის ისტორიას... გამოსვლისას მეგობრებს ვუთხარი, (ჩვენ უკვე ერთად გავლილი გვქონდა ცხინვალი), ჩავჯდეთ ავტობუსებში-თქო. ზვიად ძიძიგური მიყვებოდა პრეზიდენტს, ახლაც მახსოვს, ჯინსის ცისფერი კურტკით ხიდზე გადმოირბინა ტყვიების წვიმაში (ამას ხომ უნდა ვაუკაცობა) მე პრეზიდენტი უნდა გავიყვანო და თქვენ თავს მიხედეთო, სამტრედიელ ბიჭებს გვითხრა. წამოსულებს ამირან ხუჭუა ცუდად გაგვიხდა, დილის ოთხი საათი იყო, ხელში ჩაგვაკვდებოდა, შემხვედრ უცნობ ქალბატონს ვთხოვეთ, შეეფარებინა სახლში. ქალბატონმა, მედიცინის მუშაკმა წაიყვანა ამირანი, რა მნიშვნელობაა, რომელ მხარეს იბრძოდაო, გვითხრა, ნაქირავებში, აივანზე ერთი კვირის განმავლობაში ეწვინა ამირანი და გამოაჯანმრთელა. 70 კილომეტრი ფეხით ვიარეთ და თიანეთში მივედით, მეგობრის, ზაზა დანელიას ნაცნობთან. ზაზა თბილისელი იყო და სამტრედიელ მოხალისეებთან ერთად იყო სულ, ჩვენთან ერთად იყვნენ ასევე, ''პრაფესორას'' ვეძახდით, გია კეკელია და ''პარკეტას'' ვეძახდით, გია ხუციშვილი. წავედით თიანეთში. ჯაბა იოსელიანმა მაშინ ტელევიზიით განაცხადა, თიანეთიდან აპირებენ ჩვენზე შეტევის დაწყებასო...

_ ჯაბა იოსელიანსაც შეხვდებოდით...

_ ჯაბას ბევრჯერ შევხვედრივარ, ბავშვობიდან კარგი ურთიერთობა მქონდა ძმებ ვაშაკიძეებთან და როგორც დიდი ჯიხაიშელებს, ახლაც მეგობრული ურთიერთობა გვაქვს... თიანეთიდან თითო-ოროლა კაცი ჩამოვედით სამტრედიაში. კოპიტნარის საგუშაგო-გამშვებ პუნქტზე იდგნენ ქუთაისის მხედრიონის და გვარდიის ნაწილები. სამტრედიაში ჯერ კიდევ ეროვნული ხელისუფლება იყო. რომ ჩამოვედი, მე და ზვიად ძიძიგური წავედით ხობის დახვრეტილი პრეფექტის დაკრძალვაზე, 4 დღე სამტრედიაში დავყავით, მერე ზვიად ძიძიგურმა უკან დახევისკენ მოგვიწოდა. თუ არ დავიხევთ, სამტრედიას დაარბევენო. გადავედით მარანში. მერე აქ ხონიდან და სამტრედიიდან შემოსულმა მხედრიონელებმა ერთმანეთი ვერ იცნეს, ცეცხლი გახსნეს და ერთმანეთი დახოცეს...

_ ტერორის პერიოდს როგორ გადაურჩით?

_ ვანში, სალხინოში, მამიდაშვილებთან ვიმალებოდი. რომ მოვბრუნდი, ვიღაცეებმა ჩემს ჭიშკარს ესროლეს, მეტი დაპირისპირება ჩემს მიმართ არ ყოფილა... გითხარით, მხედრიონელებს ბავშვობიდან ვიცნობდი...

_ ერთმანეთს პირისპირ ავტომატით შეხვედრიხართ?

_ სამოქალაქო ომის დროა, 1993 წელია, უკვე ბატალიონის მეთაური ვიყავი, სამეგრელოში პოზიციაზე ვიდექი, რომ გამოიარა მანქანით მხედრიონელმა, სამოქალაქო ფორმაში, თან ჩემებურმა, ჩამოვიდა მანქანიდან, დამინახა და კაცი გაშრა, გავატარეთ, ჩამოიარა კიდევ მეორედ და წავიდა... ერთი ჩემი სოფელი მხედრიონელებთან ახლობლობდა, სამეგრელოში დაიჭირეს ზვიადისტებმა და ჩასვეს ზუგდიდის ციხეში. მეგობარი გვყავდა მსხილაძე სოსო, ზუგდიდში იყო წასული და დაჭერილმა მას მიაწოდა ინფორმაცია, ზაზას ახლობელი ვარო, დაჭერილი ვარ, მომეშველეთო. სოსოს ჩაუსვეს მანქანაში ის პატიმარი და გამოგვიგზავნეს.

_ აფხაზეთის ომის პერიოდს როგორ გაიხსენებთ?

_ ომი რომ დაიწყო, 1993 წლის მარტის დასწყისში ეროვნული გვარდიის შეკრება მოხდა ანაკლიაში ლოთი ქობალიას ხელმძღვანელობით, სამტრედიის ბატალიონის მეთაურად სულიკო ალფაიძე დაინიშნა, შესანიშნავი ბიჭები გვყავდნენ, ჩავედით ანაკლიაში, იქ იყო ბაზირებული გურია-იმერეთის პოლკი, სამეგრელოს და აღმოსავლეთ საქართველოს შენაერთები. 500-ზე მეტი სამხედრო იყო. მზადდებოდა აფხაზეთში გადასვლის გეგმა. ჩვენი ბატალიონის მებრძოლების ნაწილი სოხუმში იყო ჩარჩენილი. კაკო ელიავა აფხაზეთში იყო. ჩვენი ძირითადი შესვლა მოხდა, ტამიშზე რუსეთმა დესანტი რომ გადმოსხა და სოხუმის გზა ჩაიკეტა. ჩვენი ბიჭების ნაწილი სოხუმის ბატალიონში სოსო ჯოიდავას ბრიგადაში იყვნენ, ჩვენ აქეთ მხარეს დავრჩით, მაშინ ამ დესანტმა განაიარაღა ბატალიონი ''ავაზა'', რომელიც სახალხო ფრონტის დაქვემდებარებაში იყო, ავტომატიანი ნოდარ ნათაძეც მახსოვს სოფელ ცაგერაში... რომ გაერთიანდნენ ჩვენი ფორმირებები, სამი შესვლა მოხდა, პირველი შესვლისას დაგვეღუპა კირილე რევიშვილი და დაგვეკარგა მერაბ ბუაძე უკან დახევის დროს. მოგვიანებით გაირკვა, მას შახტაში ამუშავებდნენ და 1995 წელს დახვრიტეს აფხაზებმა. ის ავღანეთში იყო ნაბრძოლი და ყელზე დიდი შრამი ჰქონდა. მოგვიანებით შევიტყვეთ, ტყვარჩელში თავი მოაჭრეს თურმე აფხაზებმა და მისი თავით ბურთს თამაშობდნენ. ერთიანი ძალებით რომ გავათავისუფლეთ ტამიში და გაიხსნა სოხუმის გზა, ახლაც მახსოვს, 771 ნომერი ჩვენი ტანკი, რომელიც პირველი შევიდა სოხუმში, მარტვილელი ბიჭები იჯდნენ შიგ.

1993 წლის 6 ივნისია, ედუარდ შევარდნაძე გაიქცა დგომისში და ხელი მოაწერა ჩვენი შენაერთების 40 კილომეტრით უკან დახევის დადგენილებას. ტამიში რომ გავათავისუფლეთ, რუსის დესანტი ჩარჩა ტყეში. მთელი საქართველოდან უამრავი ახალგაზრდა ბიჭი მოხალისე დაიძრა სოხუმისკენ, მათ რუსული დესანტი ესროდა, ბიჭები ავტობუსებით გადაგვავდა, ამ მოხალისეების გაყვანა დამევალა გალიდან სოხუმამდე. მერე მოვიხსენით და გადავედით ტყვარჩელის მიმართულებაზე, აჩიგვარას ტქნიკუმის შენობაში ვათევდით ღამეს... ფაქტობრივად, ცენტრალური ხელისუფლებიდან ტყვიას აღარ გვიგზავნიდნენ... მებრძოლები ჩამოვედით სენაკში და დავდექით მენჯში, სენაკი სამთავრობოებს ეკავა, რკინიგზის მიმართულება ჩვენ, ზვიადისტებს. აქ შეტაკებებიც მოხდა, მახსოვს, იგორ გიორგაძის სპეცნაზელთა ბეტეერი შემოვიდა, სოფელ მენჯში საერთო საცხოვრებელში ვიდექით, მეზობლებმა ლობიო და მჭადი მოგვიტანეს, (პური იშვიათი იყო), ვხედავ, ჩვენს პოსტზე დგას ბეტეერი, რომელმაც ჩვენს პოსტზე მყოფნი განაიარაღა. მასში ექვსნი ისხდნენ, ყუმბარმტყორცნი გვქონდა და განვაიარაღეთ მასში მყოფნი. მე დავუმიზნე ბეტეერს ყუმბარმტყორცნი, მან კი, ტყვიამფრქვევით ამიყვანა მიზანში, ვერ ეყოთ გამბედაობა, ესროლათ, ჩვენ მოვიგეთ ნერვების ომი, ამოვყარეთ და ჩამოვართვით ბეტეერი. ჩავსვით მანქანაში და გავიყვანეთ ტრასამდე. ზვიად გამსახურდიას მომხრეები ხონში რომ შემოვედით, ჩვენი ნაწილი ჯვარში იდგა, სამტრედიელები და გორელები ერთად ვიყავით, ჩამოვიდა შევარდნაძის ჯარი ხონში, ზოგი დაიჭირეს ჩვენი მომხრეები, ჩვენ სასწრაფოდ მოგვხსნეს ჯვარიდან და აქ ჩამოვედით, ტექნიკა რაც იყო, წამოვიყვანეთ. ვხედავთ, უკვე მარტვილის ხიდზე ჩვენი ხალხი გადმოდის, ჩვენ გვებრძოდა არა მარტო მხედრიონი, რუსეთიც. ე. წ. ''მფრინავი ღამურები''(ჯავშანტექნიკა) შევნიშნეთ, ჩვენი ბიჭები რომ გადმოვიდნენ, ძირითადი მასა გადმოსული იყო და ხიდი ჩავკეტეთ. მათ შემოჰყვნენ ეს ''მფ-

კულტურული მემკვიდრეობა და ბუნება

ასე ჰქვია ევროპის საბჭოს მიერ შერჩეულ საერთო თემას, რომლის მიზანია, ევროპული მემკვიდრეობის დღეების ფარგლებში, ევროპულ ტურში მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართვა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩაერთო ამ აქტივობაში, რაც იმით გამოიხატა, რომ ამ დღეებში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 18-მა მოსწავლემ მოინახულა და დაათვალიერა დიდი ერისკაცის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, დენდრო პარკი, დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯი, გაისეირნეს ბორანით მდინარე რიონზე, ერთი სიტყვით, ერთი დღე მეტად შინაარსიანად გაატარეს.

მსგავს ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებისათვის. კარგია, რომ მოსწავლეები კმაყოფილები დარჩნენ. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ნათია გოგოძემ.

ღონისძიებებში მონაწილეობა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ბახტაძემ მიიღო.

ლევან გაბეჩავა

რინავი ღამურები", ბატალიონის მეთაური არ ვიყავი, მაგრამ ოპერაციას ვხელმძღვანელობდი, შემოვიდნენ რუსები და რუსულად მეძახიან, არ გვესროლოთ, თქვენები ვართო... გავატარეთ, მაგრამ მიმწყვდეულები გვყავს, ამ რუსული სპეცნაზის ერთმა თვითმფრინავმა დაგვბომბა, ერთი კი ჩამოაგდო ქუთაისელმა ჩვენმა თანამებრძოლმა, გამოვედევნეთ ჯავშანტრანსპორტიორით, იქაურებმა, მარტვილელებმა იმ ბეტეერში მყოფი 5 სამხედრო დახოცეს, მხოლოდ მაიორი გადარჩა. ამ დროს 24-ე ბატალიონის მეთაური სულიკო ალფაიძე დახვრიტეს ხონში და მის გვამში გაიცვალა შემდეგ ის დაჭრილი მაიორი.

_ ისევ ჯაბა იოსელიანთან შეხვედრის თემას დავუბრუნდეთ...

_ აფხაზეთის ომის პერიოდია, მოვდივართ შუა ღამეზე ტამიშთან ნამორიგევები მე, შმაგი სიხარულიძე, მალხაზ ბენდელიანი, ედიკა გრიგოლია, ყველანი შეიარაღებულნი, ჩერდება რანდროვერი, რა იყო ბიჭებო, ხო არ შეგეშინდათო, გვეუბნება იოსელიანი. არა, პოზიციებზე შევიცვალეთ-თქო. გამსახურდიას მომხრეები თუ ვიქნებოდით, ვერ წარმოედგინა, ცაგერაში იყო გაერთიანებული შტაბი და იქ მიდიოდა, დიდ ჯიხაიშელ ზოროსთან ერთად. ჯაბას მანამდე სამტრედიაში შევხვდი. სასტუმროში გოჩა მაჭავარიანთან, ტყიბულის პრეფექტთან და ზაზა ლიპარტელიანთან ერთად, მაშინ იწყებოდა დაპირისპირება გამსახურდიასა და ჯაბას მომხრეებს შორის. მხედრიონი ახალი ჩამოყალიბებული იყო. მხედრიონელი ვეფხვაძე და გია ვაშაიძეც იყვნენ მასთან ერთად, მაშინ გვითხრა, თქვენნაირი კარგი ბიჭები მჭირდებაო.... მაინც მგონია, სამოქალაქო ომზე ჩვენ წამოგვიყიდეს, ტყვარჩელიდან რომ წამოვედით, სენაკი ავიღეთ, აბაშაში არავინ იყო, დავდექით ცხენისწყლის ხიდზე. იქ დადეს ბეტონის ფილები, არადა, ჩვენ დაგვაბრალეს ხიდის გადაკეტვა. ხიდზე გადავდოდ-გადმოვდოდით ერთმანეთთან პოლიციის, გვარდიის ნაწილები და ზვიადისტები, არაყიც დავლიეთ ერთ საღამოს. ვიღაცამ მოაყენა მსუბუქი ტანკი და დაუშინა, ფაქტობრივად, ადამიანებმა მოვაგვარეთ ერთმანეთში ურთიერთობები, არავის გვაწყობდა ომი, მაგრამ მოვიდნენ და აგვრიეს... რუსი იყო თუ რუსული გეგმის შემსრულებელი. რამდენიმე დღე ვიდექით ცხენისწყლის ხიდზე, მალე მომზადდა ოპერაცია, გადმოვედით სამტრედიაში 3 დღით. სამოქალაქო ომი საშინელებაა, მშვიდობიანი მოქალაქეები დაიღუპნენ...

_ გულწრფელად გჯეროდათ დამზობილი ხელისუფლების აღდგენის? არ იყო გადაჭარბებული თქვენი მოლოდინი?

_ იმხელა რუსეთი იდგა ჩვენს წინაშე, ეჭვი ყოველთვის გვეპარებოდა, მაგრამ პუტჩის მერე რუსეთმა, შეიძლება, ვერ მოიცალოს-თქო, ვფიქრობდით. პატრიოტული აღტკინება დიდი იყო, თან გამსახურდია ჩამოვიდა საქართველოში და ქვეყნის გაერთიანების იმედი გაჩნდა. სამტრედიაში 3-4 დღით აღდგა კანონიერი ხელისუფლება, ზვიად გამსახურდია მახსოვს ყოფილი კომისარიატის შენობაში, სადაც ახლა ვზიავარ, ჩემს კაბინეტში ცოტა ხნით იყო შემოსული. შავი ღვინო მოიტანა იურა ბახიამ, მჭადი და ყველი, ერთად დავლიეთ, თითო ჭიქა შავი ღვინო. მას შემდეგ პრეზიდენტი არ მინახავს... 1993 წელს პირველად რომ შემოვედით სამტრედიაში, დამევალა გუბის წყლის ხიდი გამემაგრებინა (ტანკი მყავდა და ბეტეერები), შევარდნაძის მომხრეთა ნაწილი გადიოდა ამ მხრიდან, საბედნიეროდ, შემიცვალეს ბრძანება, თორემ მომიწევდა მათი ხოცვა-ჟლეტა. ტექნიკით გამიშვეს მარანში და გადავედით სენაკში. ეს ის პერიოდია, ფოთში უკვე გენერალი ბალტინია შემოსული, რუსული ავიაციაც მუშაობს. მოვიხსენით და სენაკში აეროპორტში დავდექით. შეტევა მოხდა სენაკზე დ მე და ჩემი თანამებრძოლები ტანკებით და ბეტეერებით ჩავრჩით აეროპორტში, რაციით ვერ გადმომცეს, რომ ხობამდე მოვიდნენ უკვე შევარდნაძის თანამებრძოლები. გავუშვი დასაზვერად 2 კაცი და არც ერთი არ დაბრუნდა. შეთენდა თუ არა, თვითმფრინავმა დაიწყო დაბომბვა, ქალაქში მთელი ღამე სროლა იყო. მხვდება ვიღაც იქაური და მეგრული კილოთი მეუბნება: "თქვენ კიდე აქა ხართ? წუხელის შემოვიდნენ ესენი, ხობის ხიდზე არიან". ცივის ხიდზე ტანკებით იდგნენ უკვე, ხობამდე იყვნენ მისულნი. მდინარე ცივს მივადექით, შიგ ჩარჩა ჩვენი სამხედიანი კამაზი, მოსახლეობიდან ქალებმა მოგვიტანეს ტროსი, ხობის ხიდზე ჩვენები იდგნენ. წარმოიდგინეთ, ჩვენებს შეიძლება ვერ ვეცნენ, ტექნიკით გამოჩენა სახიფათო იყო. უცნობმა 14 წლის ადგილობრივმა ბიჭმა ცხენით ირბინა, გვასწავლა გზა და ამ ორ პოზიციას შორის 40 კაცი გაგვაძვრინა. ჩხოროწყუს მთებში ავედით, ზუგდიდით შემოვუარეთ და ისევ ხობში მოვედით. ბევრი თანამებრძოლი მერე დაგვიხოცეს. 1993 წლის ბოლოა, უკვე ომი წაგებულია, ბატალიონი დაიშალა, შალვა ცინცაძე და დედისერთა, 17 წლის ლევან ფაღავა სამეგრელოში დახვრიტეს..

_ ცნობილია, სიკვდილს ქალაქის ცენტრშიც გადაურჩით..

_ შევარდნაძის სამხედრო ძალა რომ შემოვიდა სამტრედიაში, პოზიცია გაარღვიეს და ძალიან ახლოს მოვიდნენ. ვიჯექი "ნივაში", საჭესთან იყო მერაბ გოგიტაძე, ჩვენ არ ვიცოდით, იქ თუ იყვნენ, დღევანდელი მაცხოვრის ტაძრის მიმდებარედ, მოსახვევში იდგა ტანკი, "კამაზს" ახადა თავი ცეცხლმა, გია ძაგნიძეს თავი მოაწყვიტა, მერაბმა იმარჯვა და გამომაცილა ამ სიტუაციას, ვინც კამაზში იყვნენ, ერთის გარდა გადახტა ყველა და გადარჩა, მეც უფლის ნებით გადავრჩი. სამოქალაქო ომი საშინელებაა, ქართველებმა ეს უნდა შევიგნოთ. მინიმუმ, 20 წლით დაგვხია ამ ომმა, არც ტერიტორიები დაგვეკარგებოდა და ეკონომიკურადაც უკეთ ვიქნებოდით. ბატალიონელ დაღუპულ ბიჭებს ლოცვაში ყველას ვიხსენიებ, აღდგომის მეორე დღეს მათ საფლავებზე გავდივართ თანამებრძოლები, ამ ტრადიციას არ დავარღვევთ, ვიდრე შეგვეძლება. აუცილებლად უნდა ვახსენო ჩვენი დაღუპული თანამებრძოლები: ბატალიონის წევრი თევდორე ჯანელიძე აფეთქდა ტანკში თბილისის ომის დროს. 1993 წელს ნოემბერ-დეკემბერში ტეხურის ხეობაში გარდაცვლილები იპოვეს მურმან შენგელია, მერაბ გოგიტაძე და

გრიშა ხუჭუა, მეტსახელად "ტიგანა". ამავე წელს აგვისტოში სამტრედიაში დახვრიტეს ანზორ გოგოლაძე. სამოქალაქო ომის დროს მარტვილში, ხუნწის ხიდზე დაიღუპა გიორგი გოგავა. 1992 წლის შემოდგომაზე აფხაზეთში დაიღუპა გრიშა თოთაძე.

50 წელი სწრაფად გაფრენილა

მაშინ, როცა გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს კომუნისტური იდეებით შეპყრობილი ყოფილი საბჭოთა კავშირის საზოგადოება ნათელ მომავალს და კომუნიზმში შესვლას სულმოუთქმელად ელოდებოდა, სამტრედიის რუსული საშუალო სკოლა მოსწავლეთა კონტინგენტით ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო რაიონში.

აქ ქართველების გარდა სწავლობდნენ სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან, შუა აზიიდან, ბოშები, ბერძნები, ებრაელები და სხვა.

სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ, სამწუხაროდ, 80-85 პროცენტი, მათ შორის ქართველებიც, სწავლას და მოღვაწეობას აგრძელებდნენ ყოფილი კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და ერთმანეთს იშვიათად ან საერთოდ ვერც ვხედავდით.

სკოლის დამთავრების შემდეგ (1968 წ.) ნახევარმა საუკუნემ განვლო, წელს სექტემბერში მოხდა ჩვენი შეხვედრა. იდეა გაუჩნდა ჩვენს თანაკლასელ ემიგრანტ ლიუსია კრავჩენკოს, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ არ ყოფილა საქართველოში. ამჟამად ის ცხოვრობს და მოღვაწეობს ავსტრალიაში მეუღლესთან ერთად. ჰყავს შვილი და ორი შვილიშვილი. სწორედ მას გაუჩნდა სურვილი, ენახა ქალაქი, სადაც გაიზარდა, უბანი, სადაც გაატარა ბავშვობა (“ნახალოვკა”). მისი თქმით, სულ თვალწინ ედგა სკოლაში მიმავალი გზა, საკლასო ოთახი, თანაკლასელები და პედაგოგები.

22 საათიანი ფრენის შემდეგ ის მეხუთე კონტინენტიდან _ ავსტრალიიდან სამტრედიაში მოგვევლინა.

საორგანიზაციო საკითხების მოგვარება თავის თავზე აიღო ჩვენმა კლასელმა თენგო ჩხეიძემ. დიდი შრომა გასწია, რათა დაედგინა თანაკლასელთა ადგილსამყოფელი. ყველა ღონე იხმარა, რომ ეს შეხვედრა შემდგარიყო! მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში მისმა ოჯახმა დიდი ტრავმა გადაიტანა _ მას ძმა გარდაეცვალა.

ჩვენი შეხვედრა შედგა. ემოციას ვერ ვმალავდით, ერთი აზრი გვიტირიალებდა _ 50 წლის შემდეგ ვიცნობდით ერთმანეთს თუ არა, ხომ არ ჩავვარდებოდით უხერხულ მდგომარეობაში.

საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად და ორგანიზებულად ჩაიარა. დაუვიწყარია სადღესასწაულო სუფრასთან თქმული სიტყვები. მგონი არ დავბერებულვართ, მოდი თავიდან დავიწყოთ სწავლაო. _ თქვა ალექსანდრე კრიშტალმა.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ამას მოთელვა დავარქვათ, უკეთესი რომ იყოს მომავალში თითოეულმა ჩვენგანმა აქედანვე ვიზრუნოთ. _ სურვილი გამოთქვა იური ფოფხაძემ.

ბევრი ვერ ჩამოვიდა სხვადასხვა მიზეზის გამო მოსკოვიდან, პეტერბურგიდან, ვოლგოგრადიდან. შეხვედრაზე ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოვიდა სამტრედიელებისთვის კარგად ნაცნობი, ყოფილი ანსამბლ “ცისარტყელას” ხელმძღვანელი რობერტ ქებაბჩიანი. შეხვედრამ კი მხიარულ ატმოსფეროში ჩაიარა, ბევრი მოგონება, კურიოზი, გახსენება, ღიმილი. საზეიმო სუფრასთან ყოფნის 7 საათმა შეუმჩნევლად ჩაიარა, თუმცა, რომელ 7 საათზეა საუბარი, სკოლის დამთავრების 50 წელი სწრაფად გაფრენილა.

ლალი კოკალიმაშვილი

სტუმრად მეხუთე კონტინენტიდან

წლევანდელი ზაფხულის ერთ ჩვეულებრივ საღამოს ჩემს მობილურზე ზარი გაისმა, ნომერი მეუცხოვა, მივხვდი, უცხოეთიდან რეკავდნენ. უცხოეთში დღეს ბევრია ჩვენი თანამემამულე და ნაცნობი წასული. დაინტერესებულმა ვუპასუხე და საკმაოდ ნაცნობი ქალის ხმა გავიგონე. რა სასიხარულო აღმოჩნდა, რომ მირეკავდა ჩემი სკოლის თანაკლასელი და მეგობარი, ავსტრალიაში მცხოვრები და მოღვაწე ლუსია კრავჩენკო!

საუბარი გაგვიგრძელდა და შევთანხმდით, რომ ამ საუბრით არ შემოვიფარგლებოდით და სამომავლო შეხვედრის გეგმებზეც შევთანხმდებოდით. კიდევ დამირეკა და უკვე გადაწყვეტილად მითხრა, რომ დიდი ხანია არ ყოფილა მშობლიურ სამტრედიაში, ნოსტალგიამ შეიპყრო და ჩამოსვლა უნდოდა. ჩვენ, ფაქტობრივად, ერთმანეთს 1968 წლიდან დავშორდით როცა სკოლა დავამთავრეთ! 49 წელი! თითქმის ნახევარი საუკუნე!

გახშირდა ჩვენი სატელეფონო კომუნიკაციები შეხვედრასთან დაკავშირებით, დავივალე მისი ორგანიზება და ველოდებოდით მონატრებული სტუმრის ჩამოსვლას. მანამდე დავადგინეთ საკონტაქტო ტელეფონები სამტრედიაში, ქუთაისში, თბილისში, რუსეთში, მოლოდინმა, განცდებმა და ემოციებმა იმატა. ყველა ვნერვიულობდით, თუ როგორ შევხვდებოდით ერთმანეთს. ვიცნობთ ერთმანეთს ამდენი წლების შემდეგ? დადგა ის ბედნიერი და მშვიდობიანი დღე, როდესაც ჩვენი სტუმარი ჩამოფრინდა საქართველოში. მგზავრობით დაღლილმა მაინც შემეხმიანა და საორგანიზაციო საქმეებით დაინტერესება გამოხატა. თბილისიდან სამტრედიაში რომ ჩამოვიდა, მეორე დილით შევხვდით ერთმანეთს. ემოციები შეხვედრის გამო ჩქეფდა, ვანუგეშეთ ერთმანეთი, რომ სულ არ ვართ შეცვლილები და მხოლოდ წლები მოგვმატებია.

ბევრი ვისაუბრეთ ფინჯან ყავასა და ჩაიზე. შევთანხმდით, რომ მეგობრებთან შეხვედრა დაგვენიშნა და ქართული ტრადიციებით აღგვენიშნა მშობლიურ ქალაქში. მალე ეს დღეც დაგვიდგა. 6 სექტემბერი იყო ემოციურად დაძაბული.

ის საღამომ მშვენივრად ჩაიარა. გავიხსენეთ სკოლის და სწავლის მომენტები, ყველა ჩვენი გარდაცვლილი მასწავლებელი, ჩვენი ბავშვური ოხუნჯობანი და სხვა. მთელმა საღამომ ისე ჩაიარა დაშლა არ გვინდოდა. ამით კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ ჩვენი ერთმანეთისადმი სიყვარული და პატივისცემაც.

თამაზ ჩხეიძე

“პიჩლეიკის ტბა”





ინგლისურ ენაზე “Pitsh Lake” ნიშნავს ბიტუმის ტბას და იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უიშვიათეს ტბას მსოფლიოში, რომელიც შედგება სუფთა თხევადი ასფალტისგან. იგი მდებარეობს კუნძულ ტრინიდადის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დასახლებულ პუნქტ ლა ბრეასთან ახლოს. მისი საერთო ფართობი 40 ჰექტარია, ხოლო მაქსიმალური სიღრმე 80 მეტრი. სპეციალისტების მოსაზრებით “პიჩლეიკის ტბაში” თხევადი ასფალტის მარაგი 6 მილიონ ტონად ფასდება. ფაქტობრივად, ტბიდან ყოველწლიურად 10 000 ტონა ასფალტს იღებენ და როგორც ვარაუდობენ, ამ ტემპით ტბაში ასფალტის მოპოვების გაგრძელების შემთხვევაში, მისი მარაგი კიდევ 400 წელს არ გამოილევა. “პიჩლეიკის ტბა” მსოფლიოში ყველაზე დიდ რეზერვუარს წარმოადგენს ბუნებრივი ასფალტისას. ტბა აღმოჩენილ იქნა 1595 წელს ცნობილი ინგლისელი ავანტიურისტის, მწერლისა და ისტორიკოსის, უოლტერ რილის მიერ. ის იმთავითვე მიხვდა ტბის უნიკალურობას და იმ პერიოდისათვის ტბაში ამოღებულ ბიტუმს ხის გემების შესაზეთად იყენებდნენ.

ადგილობრივი ლეგენდის მიხედვით, სადაც ტბა არის განთავსებული, ცხოვრობდა ინდიელთა ერთ-ერთი ტომის _ ჩიმას ხალხი. მათ, ბრძოლაში გამარჯვების შემდგომ, გამართეს დიდი ზეიმი და ლხინი, სადაც უამრავი ფრინველი _ კოლიბრი იქნა საკვებად გამოყენებული. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ამავე ხალხის წარმოდგენით, კოლიბრი ერთგვარად წარმოადგენდა მათი წინაპრების გარდაცვლილთა სულებს. მიუხედავად ამისა, ეგზალტირებულმა ჩიმას ხალხმა დაივიწყა აღნიშნული ფაქტი და გამარჯვების მოპოვების შემდეგ უამრავი კოლიბრი დახოცა. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი ღმერთების გაბრაზებისა და ჩიმას ხალხის საცხოვრებელ ტერიტორიებზე სასჯელის სახით, მოავლინა გასაოცარი ტბა, რომელმაც საბოლოოდ შეიწირა ჩიმას ხალხი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთივე საოცარი ობიექტები, გარდა ტრინიდადისა, მდებარეობს ვენესუელაში, კალიფორნიის შტატსა და დედამიწის სხვა ადგილებში.

როგორ მოვიქცეთ დაბალი წნევის დროს

არ შეიძლება ითქვას, რომ დაბალი წნევა ერთმნიშვნელოვნად დაავადებაა, რომლის მკურნალობაც სასწრაფოდაა საჭირო. მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება, სხვადასხვა იყოს, თუმცა იმისათვის, რომ თავი უკეთ იგრძნოთ, საჭიროა დაიცვათ რამდენიმე მარტივი წესი.

დილით გაღვიძების დროს საჭიროა არა სწრაფად გამოფხიზლება და სამსახურში გაქცევა, არამედ რამდენიმე წუთის განმავლობაში საწოლში ყოფნა და ამის შემდეგ დილით შესასრულებელი პროცედურების ნელა, თანმიმდევრობით შესრულება.

საჭიროა ვიტამინების მიღება. ყურადღება მიაქციე თქვენს რაციონს და სწორად კვებას.

კარგად ისაუზმეთ. არ არის საჭირო დიდი რაოდენობით საკვების მიღება, უბრალოდ, მსუბუქი კვება უმჯობესია შეცვალოთ სრულფასოვანი და მრავალფეროვანი საჭმლით.

საჭიროა დიეტებზე უარის თქმა. რა თქმა უნა, არავინ ურჩევს დაბალი წნევის მქონე ადამიანს “კარგად დანაყრებას”, მაგრამ დიეტები, რომლებიც მოიაზრებს მცირე რაოდენობით ან ერთგვაროვანი საკვების მიღებას, მნიშვნელოვანად აუარესებს მდგომარეობას.

მავნე ჩვევებზე უარის თქმა. თუ გსურთ, რომ იშვიათად იგრძნოთ თავბრუსხვევა და სისუსტე, გაზარდოთ შრომისუნარიანობა, მაშინ ერთმნიშვნელოვნად უნდა გადაწყვიტოთ უარი თქვათ ალკოჰოლური სასმელებისა და სიგარეტის მოხმარებაზე.

არ შეიძლება უძილობა ან ძილის ნაკლებობა. აუცილებელად მოიწესრიგეთ ძილის რეჟიმი.

შეათანხმეთ თქვენს ექიმთან ნატურალური პრეპარატების მიღება. ისინი არა მარტო გაზრდიან თქვენს იმუნიტეტს, არამედ ცოტათი გაზრდიან წნევას.

გახსოვდეთ, რომ უკიდურესად მნიშვნელოვანია ზომიერი ფიზიკური აქტივობა _ ისეირნეთ, ჩაისუნთქეთ სუფთა ჰაერი, იარეთ აუზზე. თავს უკეთ გაგრძნობინებთ მასაჟის სეანსები. არ ღირს რეკორდების დამყარება, კუნთების დაყენებაზე ორიენტირება და სარბენ ბილიკზე ენერგიის გამოფიტვა.



ლევან გაბეჩავა გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, იაკობ გოგებაშვილის მედლის კავალერი, ბატონი

ამირან მსხილაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შევჩენკოს ქუჩაზე მცხოვრები უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ბორის მსხილაძის ოჯახს

ამირან მსხილაძის

გარდაცვალების გამო.

თანაკლასელები თანაუგრძნობენ გურიკო მსხილაძეს

ბაბუის

გარდაცვალების გამო

წარმატება საერთაშორისო ჩემპიონატზე

2017 წლის 1-ელ ოქტომბერს ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში "კავკასიის თასი" 18 წლის ზემოთ ასაკის სპორტსმენთა შორის, ვაჟებში წონით კატეგორიაში, ქალებში _ აბსოლუტურ წონაში. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, ყაზახეთის, საბერძნეთისა და საქართველოს წარმომადგენლები.

საქართველოს ნაკრებში სხვა სპორტსმენებთან ერთად გამოდიოდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრები, თამარ ბიბილეიშვილი და ახალბედა კარატისტები, 14 წლის მანანა მუქერია და 15 წლის მარიამ გოგიტაური.

ტრადიციულად წარმატებით იასპარეზა თამარ ბიბილეიშვილმა, რომელმაც დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი.

საინტერესო ბრძოლები ჰქონდათ მანანა მუქერიასა და მარიამ გოგიტაურს. მათი მოწინააღმდეგეები საერთაშორისო ოსტატები იყვნენ და წონით მათზე მეტნი. მიუხედავად ასეთი პირობებისა, ორივემ სპეციალისტთა დადებითი შეფასებები მიიღო. ისინი შეყვანილები არიან 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის საქართველოს ნაკრებში. სამომავლოდ სამტრედიელი კარატისტი გოგონები ემზადებიან საერთაშორისო, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისათვის. საერთაშორისო ჩემპიონატი ქ. ერევანში 2017 წლის 28 ოქტომბერს გაიმართება, მსოფლიო ჩემპიონატი _ 2018 წლის ივლისში ყაზახეთის ქალაქ ყარაგანდაში, ხოლო ევროპის ჩემპიონატი 2018 წლის სექტემბერში შვედეთში ჩატარდება. შესაძლებლობა გვეძლევა, მონაწილეობა მივიღოთ სხვადასხვა საერთაშორისო ჩემპიონატში, რაც ხელს შეუწყობს გამოცდილების მიღებას და უკეთეს მონდომებას მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისთვის. საამისოდ საჭიროა მეტი მატერიალური ბაზა და ფინანსური დახმარება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან.

სამტრედიელი კარატისტი გოგონები ცნობილები არიან არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპასა და მსოფლიოში თავიანთი წარმატებებით, ამიტომ ისინი იმსახურებენ მეტ ხელშეწყობას.

ხენსაე მიხეილ ქანთარია

უკვე მეთექვსმეტედ ხსოვნის პატივსაცემად

ვახტანგ ხელისუფალისა და მილერი ქიშმარიას სახელობის ტურნირი უკვე მეტექვსმეტედ იმართება სამტრედიაში ამ ორი ახალგაზრდა ხელბურთელის ხსოვნის უკვდავსაყოფად. იგი სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს. წლევანდელი წელი კიდევ უფრო უხვგუნდიანი გახლდათ, მასში მონაწილეობა დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ხელბურთელთა თითქმის ყველა გუნდმა მიიღო. ამიტომ ტურნირმა საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრის დატვირთვაც შეითავსა.

რამდენიმე გუნდი კონკურსგარეშე, მხოლოდ ტურნირში მონაწილეობდა. ასეთი გახლდათ ზუგდიდის №1 სკოლის და წყალტუბოს გუნდები. უკრაინიდან კი წელს მეექვსედ ჩამოვიდა "მელიტოპოლი" მონაწილეობის მისაღებად. საშეჯიბრო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ბერიაშვილი ამ ტურნირის პერსპექტივას მის კიდევ უფრო გაზრდაში ხედავს, ფიქრობს, ბევრი არ დააგვიანდება იმას, რომ ეს სახელობითი ტურნირი ქართულ სახელბურთო სამყაროში უფრო კომპეტენტური და საპასუხისმგებლო გახდეს.

ტურნირის მონაწილე გუნდები 2002-2003 წლებში დაბადებული ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს უკრაინის "მელიტოპოლი" და წყალტუბოს ხელბურთელთა ნაკრები შეხვდნენ.

ტურნირის გამარჯვებულის თასსა და პირველ ადგილს წყალტუბოს გუნდი დაეუფლა. შესაბამისად, მეორე ადგილზე უკრაინელები გავიდნენ. სამტრედიის, ანუ მასპინძელი გუნდი, მესამე ადგილს დასჯერდა. საუკეთესო მეკარე ელიზბარ ჩხიკვაძე, საუკეთესო გამთამაშებელი გოჩა თურმანიძე, კუთხის საუკეთესო მოთამაშე გელა გველესიანი, საუკეთესო მარჯვენა ინსაიდი საჯინ რამა, საუკეთესო ხაზი საბა დავითაძე გახდნენ. სამტრედიელი ნიკა ძნელაძე ტურნირის საუკეთესო მოთამაშის, გიორგი ნადირაძე კი პერსპექტიული მოთამაშის პრიზებს დაეპატრონნენ. პრიზების გადაცემაში მონაწილეობას გიორგი ხელისუფალის შვილიშვილი იღებდა.

რაც შეეხება ზოგადად ხელბურთისადმი ინტერესს, ვახტანგ ბერიაშვილი აღნიშნავს, რომ "ღღითიდღე იზრდება ახალგაზრდების ხელბურთით დაინტერესება. უნდა აღვნიშნო, რომ გოგონების გუნდი სულ უფრო დიდ წარმატებებს აღწევს. ეს მისასალმებელია, რადგან ხელბურთი სპორტის ისეთი სახეობაა, რომ არ უნდა დაიკარგოს."

ვახტანგ ხელისუფალისა და მილერი ქიშმარიას სახელობის ტურნირი ყოველწლიურად იმართება. მომდევნო წელს მისი მასშტაბების კიდევ უფრო გაზრდას ვარაუდობენ. წელს კი, სამტრედიის სპორტულ ცხოვრებაში კიდევ ერთ პრესტიჯულ ღონისძიებად ჩაიწერა იგი. სამომავლოდ საპრიზო ფონდის გაზრდასა და ტურნირის გაცილებით უკეთ ორგანიზებას ფიქრობენ ორგანიზატორები. ფულადი საპრიზო ფონდი წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში ადგოლობრივი ხელისუფლების ინიციატივით გაიცა.

თეა ბაბუნაშვილი

მერე რაა, რომ დრონი წავიდნენ,
ბზარი არა მაქვს ხმაში,
ჩემო მტრედებო, ისე მიყვარხართ,
როგორც მიყვარდით მაშინ!

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვისმეს განა?!
ნაღდად მტერმა მოგვისია
აზიური ფაროსანა!

გილოცავთ

ჯუბა ფირცხალაიშვილს!

გილოცავ ჯუბ! ბედნიერი მეყოლე! სიყვარულში გაგმართლებოდეს, მეგობრის ერთგულება არ მოგკლებოდეს, კაცობაში არ შეგშლოდეს. მუდამ ძმებივით ვყოფილიყავით ჯუბები!

ჯუბა პაპაპა

ილოცავთ

ანანო თავაძეს!

ჩვენო ძალიან ლამაზო და საყვარელო მეგობარო, კეთილი სურვილების ახდენის იმედით გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერების ღიმილი არ გაგფერმკრთალებოდეს. გვჯერა, მუდამ გვეყვარება ერთმანეთი!

ანანო და ლანა

იყიდება

სამოთახიანი იზოლირებული, გარემონტებული ბინა ავეჯით. ფასი შეთანხმებით.
მისამართი: სამტრედია, რესპუბლიკის ქ. № 10.
ტელ.: 577 18 55 22.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპაპა